საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 11 ოქტომბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 231 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 231

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მართა, შვილები: თამარი და ქეთო, სიმამრი სამსონ, სიდედრი ცაცო ოსოფაშვილები, ბიძიშვილები: სამსონ, დომენტი და გერმანე, მამიდაშვილი ტარასი ჩანტლაძე. სიძე და დები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ ორმოცი დღის ავათმყოფობის შემდეგ ქ. თფილისში, რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ლევან (ლეოლინე) ალექსანდრეს ძე ბერაძე

დაკრძალვა კვირას, 12 ოქტომბერს სოფელ საყვავისტყის (გურია) ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან დილის 11 ს. წერილები არავის გაეგზავნება, სამოქალაქო წირვა და პანაშვიდი ყოველ დღე დილით 9 საათზე და საღამოს 6 საათ. 2656—1—1

ღრმად დამწუხრებულნი დედა კეკელა მირიანაშვილისა; და ვარინკა, სიძე იოსები, დისწულები გიორგი და ალექსანდრე ედიბერიძეები; მაზლიშვილები: კოსტა, ნიკალაი და დავითი გძელიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს საყვარელ და დაუვიწყარ

ნინა შიოს ასული გძელიძის

უდროოთ გარდაცვალებას (8 ოქტომბერს). დასაფლავება მოხდება შაბათს, 11 ოქტომბერს დილის 9 ს. წმ. ნინოს სასაფლაოზე. ბინა: კუკია, სვიევოლნი ქუჩა. (2654—1—1)

მწუხარებით გულდამწვარნი ნიკოლოოზ, გრიგორი, ვასილი ესტატეს ძენი და მარიამ დავითის ასული ბაინდუროვები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

ანნა ნიკოლოოზის ასული ბაინდუროვისას

პირველი მეუღლე, მეორე და მესამე მაზლები და უკანასკნელი რძალი, პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა მოხდება 11 ოქტომბერს, გორის სამების ეკლესიის გალავანში. (2661—1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა მატა, ძმა სერაფიონი. დები: ლისა და ქრისტინე, რძალი ანეტა და ძმისწულები: მუხრანი, მადლენა, ანგელინა და თამარი იგლოვენ უდროვოდ გარდაცვალებულ

ლუარსაბ ანტონის ძე სიხარულიძეს

და უღრმეს მადლობას სწირავენ ყველა საზოგადოებებს თუ კერძო პიროვნებებს, ვინც კი პატივი სცა განსვენებულს რაიმე სახით. (2658—1—1)

მწუხარებით გულდამწვარნი ნიკოლოზ გრიგორის ძე მეუღლითურთ, ანტონინა ივანეს ასული ჯობაძენი და შვილებით: ეკატერინე, ლიდა, ქენია, შურა და ბორია, სიძით ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჯობაძე და დისწული ვახტანგი აუწყებენ, ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასის და დაუვიწყარის პირველთა შვილისა, მეორეების დისა, მესამესი ცოლის დისა, ხოლო უკანასკნელი დეიდისა

ანნა ნიკოლოოზის ასულისა ბაინდუროვისას

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება მიცვალებულის გვამისა შაბათს, 11 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, გორის საკრებულო ტაძარში საკუთარი ბინიდან ქ. გორი, სადგურის ქუჩა, № 23. (2661—1—1)

ბათუმის ინციდენტი

ბათუმის მდგომარეობა მეტად საგულისხმოა საქართველოსთვის. მთელი ქვეყნის წინაშე, ყოველი კანონით, რომელიც კი შეიძლება შექმნას კაცობრიობის გონიერებამ, ეს ქალაქი და მთელი ოლქი ბათუმისა ეკუთვნის საქართველოს. ქართველებითაა ეს კუთხე დასახლებული დღეს, საქართველოს კულტურის აკვანი იყო წარსულში, მისი ერთი საუკეთესო გამაგრძელებელი და გამავრცელებელი გახდება, ეჭვი არაა, მომავალში.

მაშასადამე, რათ უნდა იქნეს გაჭრილი ერთი მთლიანი სხეული საქართველოს ერის? რათ უნდა გახდეს გარეშე ძალის, მით უმეტეს რეაქციონურ დენიკინური ძალის საჯიჯგნათ ეს უდავო კუთხე ჩვენი ქვეყნისა?

ბათუმში ინგლისელები დგანან დღეს თავის შეიარაღებული ძალებით. მათ იქ ყოფნას აქვს ერთათ ერთი გამამართლებელი საბუთი, ეს არის ის, რომ ბათუმი მათი მოსვლის ჟამს დაპყრობილი ჰქონდა ოსმალთა ჯარებს. ხელშეკრულობითაც იგი ოსმალეთმა წაიღო ჩვენგან.

მაგრამ ეს ხელშეკრულობა იმდენათ უსამართლო იყო, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ანტანტის გამარჯვების რაიმე ნიშნები იქნებოდა, საქართველოს პარლამენტმა განუხილავათ დასტოვა.

ერთი თვის ვადაში უნდა მომხდარიყო რატიფიკაცია ამ ნაძალადევი ხელშეკრულებისა. ჩვენ იგი არც ერთ თვეში, არც შემდეგ არ მიგვიღია. ცხადია, ქართველ ხალხს ეს ოლქი ოსმალეთისთვის არ გადაუცია, გადაცემა არ დაუდასტურებია. ასე რომ ფაქტიურათ ის იყო მხოლოდ ოსმალთა ოკუპაციის ქვეშ.

მაშასადამე განთავისუფლებული ბათუმი უნდა ისევ დაბრუნებოდა საქართველოს. ასეთი იყო ლოღიკა ცხოვრების, სამართლიანობის.

მაშ რათ დარჩა იგი ისევ ჩვენი სხეულის გარეშე? რათ არის დღეს მოწყვეტილი ჩვენს რესპუბლიკას?

ბათუმში ჩვენს წარმომადგენელს ვიღაც, არა ინგლისელები, არამედ რუსი ბიუროკრატები უდიერათ ეპყრობიან, იარაღით სჭრიან, თავს ესხმიან, მისიის წევრთა ხელშეკრულებას ლახავენ, თვით ინგლისის დროშის ღირსებას და პატივისცემას ამით სახელს უტეხენ, აღარ გვესმის, რაღა ძალა და გავლენა აქვს იქ ინგლისს?

დენიკინელების ყოფნა ბათომში, ეს მუხრუჭის მოჭერაა საქართველოსთვის. ეს მტრების რკალის შემორტყმაა ჩვენს გარშემო. ეს ხელოვნურათ გამაგრებაა რუსეთის ბნელი ძალების—ჩვენი პატარა საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს ისეთი საქციელია, რომელიც გულის ტკივილს იწვევს ჩვენი ხალხის ყველა წრეებში და უხშობს გრძნობას იმ კეთილ განწყობილებისას, რომელიც დამყარდა ბოლო დროს ჩვენს ხალხსა და ბრიტანეთის წარმომადგენლებს შორის. აქ, თფილისში, ჩვენ გავიგეთ ერთმანეთის, და ერთგვარი საერთო ენა და საერთო გზა გამოინახა. ბათუმში კი დიამეტრალურათ წინააღმდეგ პოლიტიკას აქვს ადგილი.

და ეს პოლიტიკა დიდ საფრთხეს უმზადებს საქართველოს და დიდი არევ დარევის ნიადაგს ქმნის ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის.

ამ დღეებში იქ მომხდარ არა სასიამოვნო ინციდენტის გამო, საქართველოს საგარეო მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ნოტით მიმართა ინგლისის უმაღლეს კომისარს ოლ. უორდროპს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ნოტა არ დარჩება უყურადღებოთ და მხოლოდ სიტყვიერი პასუხით არ დამთავრდება. ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ ბათუმის საკითხი, რომელიც მტკივანი ადგილია ამიერ-კავკასიის ურთიერთობის გამორკვევაში, მიიღებს ისეთ გადაჭრას, რომელიც ჩვენ ხალხს დააკმაყოფილებს და ნორმალურ ურთიერთობასაც დაამყარებს.

ადმინისტრაციის მოწყობა

ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი ადმინისტრაციის უვარგისობის შესახებ. თვითნებობა, დაუდევრობა, კერძო თუ სახელმწიფო ქონების მითვისება ბევრი მოხელისათვის ერთგვარ ადათად არის გადაქცეული. ამ მხრით, სამწუხაროთ, განსხვავება არ არის საერთო და რკინის გზის ადმინისტრაციის მოხელეთა შორის.

რა არის ამისი მიზეზი?

პარტიულ ქინიანობით შეპყრობილი ბევრი პოლიტიკოსები ჩვენი მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან ამ მოვლენას ჩვენი პარტიის ბატონობით ხსნიან, მათ რომ ჰკითხოს კაცმა, თურმე ყველაფერი კარგათ მოეწყობოდა, მათი პარტიის ბატონობა რომ იყოს ჩვენში. ისინი განზრახ ივიწყებენ და ხელს აფარებენ იმ გარემოებას, რომ ბევრს დაწესებულებაში მხოლოთ მათი მიმდევრებია გაბატონებული, მაგრამ ამის მიუხედავად ეს დაწესებულებები ოდნავად არ აკმაყოფილებენ დემოკრატიის მოთხოვნილებებს. ამ საქმეში სიმართლეა მხოლოდ ერთი: ჩვენს პარტიას, როგორც მმართველ პარტიას, ბევრი არა სასიმედო ელემენტი მოაწყდა ისევ ნაციონალისტების ბანაკიდან. პარტიას საშუალება არ ქონდა მავნე ელემენტები ნამდვილ იდეიურ ხალხისაგან გაერჩია. ეს გარემოება თვით ჩვენი პარტიისათვის არის მავნებელი და ჩვენ ამას ენერგიულად ვებრძვით. ჩვენს მოწინააღმდეგებს რომ მარტო ინტრიგა არ ასულდგმულებდეს, ისინი გაიგებდნენ, რომ ცხოვრების მოუწყობლობაში დამნაშავეა არა სოც.-დემოკრატიული პარტია, არამედ ის არევ-დარევა, რომელიც ხანგრძლივ ომის პროცესში წარმოიშვა და გარდამავალ ხანაში კიდევ უფრო გაძლიერდა.

მაგრამ, რაც არ უნდა ითქვას, ჩვენი ადმინისტრაციის მოუწყობლობა სამწუხარო და დამაფიქრებელი მოვლენაა, ხოლო ამ მოვლენის მოსპობა შეიძლება არა დემაგოგიით და ინსინუაციებით, არამედ დამაბრკოლებელ მიზეზების გაგებით და მიზანშეწონილ სისტემის შემოღებით.

ჩვენი რკინის გზის ადმინისტრაცია ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რკინის გზელთა კავშირის ხელშია. ეს კავშირია, რომ თვითვე კისრულობს როგორც დამნაშავე პირთა საქმის გამოძიებას, ისე მათ დასჯას. მაგრამ რადგან ჩვენი საზოგადოება უბრალო ადამიანებისაგან, და არა წმინდანებისაგან შესდგება, ცხადია პირველ ალაგს იჭერს პროფესიონალური ეგოიზმი. თითონ ადმინისტრატიული პირების კავშირებში მოღვაწეობა ქმნის ისეთს მდგომარეობას, რომელიც ადმინისტრაციას ხელს აღებინებს მისი პირდაპირი მოვალეობის ასრულებაზე.

საერთო ადმინისტრაცია ჩვენი კანონმდებლობით ერობებს გადაეცა. სამაზრო ერობებს, თუმცა სუსტი, მაგრამ ესა თუ ის გამოცდილება მაინც აქვს ამ საქმეში. მაგრამ წვრილი საერობო ერთეულები მხოლოდ ახლა მოეწყო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელები სრულებით გამოუცდელნი და უძლურნი არიან ამ საქმეში. და ამის მიზეზია ის, რომ სოფელში ბევრი ბოროტმოქმედება რჩება არა თუ დაუსჯელი, არამედ სრულებით გამოუკვლეველი. და ეს ხდება როგორც შედარებით უფრო ჩამორჩენილ ქართლში, ისე მოწინავე გურიაში. აქ ბევრ სოფელში ან სულ არ არის მილიციის უფროსი, ან, თუ არის, ის ემორჩილება თემის გამგეობას, რომელსაც ერთი მხრით არ აქვს გამოცდილება, ხოლო მეორე მხრით დიდი პრეტენზიებით გამოდის, როგორც საზოგადოების მიერ არჩეული და ფაქტიურათ პასუხისმგებლობის გარეშე რჩება.

ეს არ არის ნორმალური. კანონმდებლობაში კოლეგია, აღსრულებაში კი ერთი პირი და სასტიკი ცენტრალიზაცია—ასეთია ის პირობები, რომლის გარეშე შეუძლებელია წესიერების დამყარება.

ამ მხრით სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს გორის ერობის ადმინისტრაციის გამგის ბ. ქარცივაძის ცირკულიარი. ეს ცირკულიარი მოითხოვს, რომ მილიციის უფროსების საქმეში გამგეობები არ ჩაერიონ. გარდა ამისა, ვტყობილობთ, რომ სამაზრო ცენტრი ნიშნავს მილიციის უფროსებს და განკარგულებების ასრულების საქმეში სავალდებულოა იერარქია, უმცროს მოხელის უფროსისადმი დამორჩილება.

მეტი პასუხისმგებლობა მოხელე პირების და ამისთვის შესაფერ ორგანიზაციის შექმნა, პროფესიონალურ ორგანიზაციების ჩაყენება კანონიერ კალაპოტში და მათთვის ყოველგვარ საადმინისტრაციო ფუნქციების ჩამოშორება—ასეთია ის გზა, რომლითაც მტკიცედ უნდა ვიდოდეს ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტრო, თუ მას სურს, რომ ჩვენ მართლა დემოკრატიული ადმინისტრაცია გვყავდეს.

პრესა

სენატი—ეს უმაღლესი სასამართლოა. ეს სამართლის ხელმძღვანელია. ხოლო სამართალი გამოიხატება არა მკვდარ აზროვნებაში, არამედ ხალხის ცხოველ აზროვნებაში—მათ სამართლიანობის გრძნობასა და შეგნებაში. ესაა მთავარი საზომი განსაკუთრებით ჩვენში, რადგან ჩვენ არ გვაქვს დღეს რამდენიმეთ მწყობრი კანონები.

ძველი რუსეთის კანონმდებლობა სულ სხვა პრინციპებზე და ურთიერთობაზე აღმოცენებული ერთი მხრით, და ახალი კანონმდებლობა საქართველოსი მეორეს მხრივ, სულ სხვა პრინციპებზე აგებული. აი რა წინააღმდეგობებთან გვაქვს ჩვენ საქმე. ცხადია ასეთ პირობებში ასეთ განსაკუთრებულ პირობებში, თქმა იმისა, რომ სენატი დაიცავს კანონიერებას, არაფრის თქმას არ ნიშნავს.

მაშინ, როცა ახალი და ძველი კანონმდებლობა ეჯახება ერთმანეთს, სენატი უნდა გადაჭრით დადგეს ან ძველის ან ახალის მხარეს და კონფლიქტის ყოველ შემთხვევაში ერთი მათგანის უპირატესობა აღიაროს.

„საქართველო" ასეთ პრობლემას გვერდს უვლის. სამაგიეროთ იგი მის ფერადებს არჩევს და თავს ინუგეშებს:

„ნუ შეგვაშინებს ის გარემოება, რომ უმაღლეს სასამართლოს მცირეოდენი წითელი ფერით უპირებენ შეფერებას. სამართლის ტაძარს ეს ფერი არ მიადგება და შიგ შესულნი თვითონვე იძულებული იქნებიან გაიმსჭვალონ სამართლის ბუნებით და სულისკვეთებით".

როგორც ხედავთ, გარდა ზოგ ფრაზისა სამართლის იდეის შესახებ, აქ არის მხოლოდ კინწის გაკვრა სენატის სიწითლეზე.

დამფუძნებელი კრება, როგორც ვიცით, კანონმდებელია, და თითქმის მთლათ წითელია. მაგრამ მისი კანონები სწორეთ ამიტომ ნამდვილი გამომხატველია ხალხის სამართლიანობის იდეის და შეგნების. ცხადია ასეთი ფერი ოდნავათაც არ ავნებს სენატს. მას ავნებს პირიქით სხვა ფერებით შეღებვა, რომელიც არ ეგუება ხალხის ფსიხიკას და შემეცნებას. განა შავი ფერის სენატი იქნება გამოსადეგი? „საქართველოს" ძალიან უნდა, რომ სენატი, ხალხთან, დემოკრატიასთან და მის წარმომადგენლებთან ბრძოლის საშუალებათ გადაიქცეს, მაგრამ ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული სასამართლო იქნება ნამდვილი გამომხატველი იმ სამართლიანობის, რომლის დაკანონება ევალება თვით დამფუძნებელ კრებას. ხოლო ამ კანონმდებლობის პრინციპებიდან გადახვევას—იგი პირუთვნელათ განსჯის, განურჩევლათ გადამხვევის პიროვნებისა, მდგომარეობისა, რწმენისა და ეს მისი უცილობელი და წმინდა მოვალეობაა... ჩვენ ამას მოვითხოვთ კიდეც სასამართლოსაგან. მაგრამ წინააღმდეგი ვართ იგი პარტიულ, გინდ ჯგუფურ ბრძოლის საგნათ გადაიქცეს, ხალხს დაშორდეს, ხალხის წინააღმდეგი გახდეს და მით სასამართლოს სახელი გაუტეხოს.

ეს კი არ შეუძლია სენატს დემოკრატიულს. „ობნოვლენიე"ს ტყვილა გონია, რომ დემოკრატიული სენატი იქნება უთუოთ პარტიული. არა, ის მხოლოდ არ იქნება ბიუროკრატიული, რეაქციონური, ესე იგი მონობის და სიბნელის დამკანონებელი.

უკანასკნელი ცნობები

მოხალისენი და დაღესტანი

ეკატერინოდარის პოლიტიკურ წრეებში დადის ხმები, რომ დაღესტნის ამბების გარშემო ეხლა მოხალისეებში ბრძოლა სწარმოებს ორ მიმართულებას შორის. ერთი მიმართულება, რომელსაც თავის წარმომადგენლები ჰყავს როგორც მთავარ სარდლობაში, ისე საგანგებო სათათბიროში, ემყარება რა იმას, რომ გენ. ერდელის პოლიტიკა დაღესტნის მიმართ იმ თავითვე ძირითადათ შემცდარია, მოითხოვს, რომ კითხვები დაღესტნის შესახებ გადასწყდეს ურთიერთ დათმობის ნიადაგზე. ამ აზრს მხარს უჭერენ ინგლისის წარმომადგენლებიც მოხალისეთა ჯართან. მეორე მიმართულებამ, რომელსაც მეთაურობენ ცნობილი რეაქციონერები, დაიკავა შეურიგებელი პოზიცია და მოითხოვს, რომ აჯანყება უსასტიკეს ზომებით იქნეს ჩაქრობილი და საერთოდ შეცვლილ იქნეს მოხალისეთა პოლიტიკა დაღესტნისა და ამიერ-კავკასიის მიმართ. („ობნ.")

სენის დეპარტამენტის სოციალისტთა ყრილობა

(დასასრული)

ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „სენის დეპარტ. საგანგებო ყრილობა გადაუწყვეტელათ სტოვებს საერთო კითხვებს—როგორც არის, მაგალითად, სოციალისტების პოლიტიკა და ინტერნაციონალი. ამ კითხვებს გაარჩევს მომავალი ნაციონალური კონგრესი. ყრილობა მოუწოდებს მუშებს და გლეხობას თავიანთ კლასობრივ ინტერესების დასაცავად და სრულ უფლებების განხორციელებისათვის—მიიღონ ენერგიული მონაწილეობა არჩევნების წინასწარ კომპანიაში. ყრილობა მოუწოდებს მუშებს გამოიყენონ მათ საარჩევნო ბიულეტენები, როგორც იარაღი კაპიტალისტურ საზოგადოების წინააღმდეგ. სოციალისტური პარტია, დღიდან თავის შეერთებისა, ყოველთვის იღებდა მონაწილეობას საარჩევნო კომპანიებში, არა მარტო იმისთვის, რომ კარები გაეღო მუშათა კლასის წარმომადგენლებისათვის ბურჟუაზიულ პარლამენტში, არამედ მასში ხედავდა საშუალებას გაევრცელებინა სოციალისტური ლოზუნგები და შეეკავშირებინა მასა რევოლიუციის ლოზუნგის გარშემო.

მაგრამ არასოდეს მდგომარეობა ისე არ გვიკარნახებდა მედგრათ გამოსვლას ბურჟუაზიულ საზოგადოების წინააღმდეგ, როგორც დღეს. ომი, რომელიც მომზადდა ბურჟუაზიის პროვოკაციულ შოვინისტურ პოლიტიკის წყალობით და რომელმაც გაიმეორეს მეორე იმპერიის შეცდომები, სულელური და სისხლიანი ომი, რომელსაც შეეწირა აურიცხველი შვილები საფრანგეთისა, იმპერიალისტური და არა კანონიერი დასასრული ომისა, ისევე ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, როგორც მის ღირსებას. ზავი დამახასიათებელია თავის ცინიკური ძალდატანებით ხალხთა უფლებაზე და ომის ახალ საბუთებს უფრო ამრავლებს. დარღვევა დადებულ დაპირებანის ბურჟუაზიის მიერ, რომელიც საფრანგეთს დაღვრილ სისხლის სანაზღაუროთ ჰპირდებოდა საერთაშორისო წესრიგს—სამართლიანობაზე დამყარებულს. რეაქციონურ ძალების დახმარება, საფრანგეთის ფინანსები და ჯარისკაცები ხელს უწყობენ მუშათა რევოლიუციის ჩაქრობას. სასურსათო და ეკონ. პოლიტიკა იწვევს უმცირესობათა გამდიდრებას, რომელმაც ძირი გამოუთხარა ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას და აუტანელი სიძვირე ჩამოაგდო.

ყველა ამის წინააღმდეგ სოციალისტური პარტია მოუწოდებს მუშებს არჩევნების წინასწარ კომპანიაში პროტესტი გამოაცხადოს, ამასთანავე პარტია წამოაყენებს თავის პასუხს საერთაშორისო და ნაციონალურ ცხოვრების შესახებ. საზავო ხელშეკრულების და ომის ლიკვიდაციის შესახებ პარტია იტყვის თავის შეხედულებას. ეს კონგრესი ადასტურებს ნაციონალურ საბჭოს რეზოლიუციას, რომელიც ავალებს ჩვენს დეპუტატებს პარლამენტში წინააღმდეგ მისცენ ხმა საზავო ხელშეკრულებას. პროგრამა, რომელიც შემუშავებულია წინანდელ კონგრესის და დამატებულია ამ დეკლარაციით პირ და პირ აღნუსხავს ჩვენს მოთხოვნილებას პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფინანსიურ კითხვებში და ჩვენ სურვილებს მუშათა კანონმდებლობაში. პარტია გაილაშქრებს ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც კი არ ცდილობს შესცვალოს სოციალური წესრიგი, რომელიც ერთად ერთია მომსპობი წინააღმდეგობის, ანარქიის და სიღატაკის, რომელიც ასე საგრძნობლათ გაიზარდა ომის დროს, რომელმაც გამოიწვია კაპიტალისტურ წყობილების გახრწნა და ააჩქარა აუცილებელი დაღუპვა. ამ ისტორიულ ხანაში, როდესაც ყოველივე მაჩვენებელია იმისა, რომ მოახლოვებულია სოციალიზმი—პარტია მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ გადაშალოს ხალხის წინაშე დოქტრინა და პროგრამამ თავისი. პარტია გაილაშქრებს მათ წინააღმდეგ, ვინც პასუხისმგებელია ომის და ვინც ასე თუ ისე მთავრობასთან თანხმობით მუშაობდა და თავის ცინიზმით იქამდე მიდიოდა, რომ რესპუბლიკანურ წყობილების მტრებს მოუწოდებდა თანამშრომლებათ. კონგრესი აღიარებს, რომ მთავრობა და ბურჟუაზიული პალატები იმის მაგივრად, რომ შექმნან სამართლიანი საარჩევნო უფლებები, სცდილობენ ზიანი მიაყენონ სოციალისტურ პარტიებს, თავიანთ მოსაჩვენებელ საარჩევნო რეფორმით და რომელიც არ იქნება ქვეყნის ზრახვათა გამომხატველი. კონგრესი ადასტურებს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც უკრძალავს ფედერაციებს არჩევნებში ყოველგვარ შეთანხმებას ბურჟუაზიულ პარტიებთან. პარტიის ზრდა ომის შემდეგ იმედს აძლევს მას, გამარჯვების რწმენით დაიწყოს ბრძოლა ყველა თავის კლასიურ მტრების წინააღმდეგ. ამ არჩევნებზე გამარჯვება ეს არ არის ჩვენი საბოლოვო მიზანი. სრული გამარჯვება მაშინ იქნება, როდესაც ბურჟუაზიას წავართმევთ სრულ ძალა-უფლებას, მაგრამ ამისათვის საჭიროა პარტიამ ახალ ახალი იერიშები მიიტანოს კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგ, შთაბეროს ხალხს რევოლიუციონური სული და მივცეთ შეძლება—ომის მსხვერპლთ—ნამეტურ დემობილიზაციით დაბრუნებულ ჯარისკაცთ—გამოხატონ თავიანთი პროტესტი—რევოლიუციონურ პარტიის ხმის მიცემით. ამავე მიზნით პარტიამ გავლენა უნდა მოახდინოს სოფლის მუშებზე, რომელნიც მავნე აგიტაციის წყალობით ქალაქის მუშებს ოპოზიციაში უდგანან. პარტიამ კაპიტალისტურ წყობილებას, რომელიც სდგას დაღუპვის გზაზე, უნდა დაუპირდაპიროს გეგმა სოციალისტურ და კომუნისტურ საზოგადოების, რომელიც დამყარებულია ძმობა-ერთობაზე და შრომის რაციონალურ ორგანიზაციაზე, რომელიც არ იქნება უმცირესობისათვის წყარო სიმდიდრისა, არამედ იქნება საშვალება ყველას დასაკმაყოფილებლათ. კონგრესს იმედი აქვს, რომ ამ შეზღუდვილ ჩარჩოებში წარმოებულ არჩევნებშიაც პარტია გააკეთებს რევოლიუციის საქმეს."

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

10 ოქტომბერი.

იტალიური პრესის ცნობები

გაზეთების ცნობით, ფიუმეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. ფიუმეს დაიჭერს ხალხთა ლიგის სახელით რეგულიარული ჯარი.

ლისაბონიდან იუწყებიან, რომ ახალი პრეზიდენტი ალმიდა შეუდგა თავისი თანამდებობის ასრულებას; დღეს პრეზიდენტი ჯარის პარადს დაესწრება.

ნეაპოლიდან იუწყებიან, რომ დაბრუნდა იტალიის პოლიტიკური და კომერციული მისია, რომელიც ჰერცოგ სპოლეტის მეთაურობით იყო ბათუმში, თფილისში და ბაქოში. მისიას ყველგან კარგად ხვდებოდნენ. თფილისში მისიის

დღეს

ფიუმეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია; ფიუმეს დაიჭერს ხალხთა ლიგის სახელით რეგულიარული ჯარი.

ოსმალეთში შესდგა ახალი კაბინეტი.

მაროკოში აჯანყებაა ისპანელების წინააღმდეგ.

პოლონეთში არეულობაა; მოსალოდნელია ომი პოლონეთსა და ლიტვის შორის.

ოფიციალური ცნობების თანახმად ბრიტანიის სამხედრო ფლოტიდან დაღუპულია სულ 254 გემი; დაღუპულ დამხმარე გემების რიცხვი აღწევს 815-ს.

პიშონმა განაცხადა, რომ რუსეთიდან და ციმბირიდან საფრანგეთის ჯარის უმეტესი ნაწილი უკვე გაყვანილია; დარჩენილა კიდევ 4,200 კაცი.

ლიუდვიგს ჰაფენში მუშები ფრანგ ჯარისკაცებს თავს დაესხნენ.

ლოიდ ჯორჯის აზრით ირლანდიას უნდა მიეცეს ისეთი კონსტიტუცია, როგორიც ინგლისის სხვა ახალშენებს აქვს.

კლემანსოს უთქვამს, რომ ის, დაუყონებლივ გადადგომას აპირებს პალატის საერთო არჩევნების შემდეგ, არჩევნები დანიშნულია 16 დეკემბრიდან 11 იანვრამდე.

ბულგარეთის ახალ მთავრობას სტამბულინსკი შეადგენს; მთავრობაში სოციალისტებიც შევლენ.

ფინეთის მთავრობამ ფინეთიდან რუსების გადასახლება დაიწყო; ასახლებენ ყველას, ვისაც ბოროტ მოქმედებაში ან სპეკულიაციაში მიუძღვის რაიმე დანაშაული.

ლონდონში არხანგელის თეთრ გვარდიელთა მთავრობის დელეგაცია ჩავიდა და სთხოვს, რომ ჩრდილოეთ რუსეთში ინგლისის ჯარი დარჩეს.

დონეცის ოლქში გაფიცვებთან ერთად არეულობა მოხდა

დენიკინელებმა ბალშევიკებისადმი თანაგრძნობისთვის დახვრიტეს ცნობილი მწერალი ვერესაევი.

მისვლა ზეიმით იდღესასწაულეს და საღამო გაუმართეს.

ბრესტიდან ამერიკაში გაემგზავრა მოკავშირეთა მრავალრიცხოვანი კომისია.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ იქ შესდგა ახალი კაბინეტი, სადაც შევიდა დიდი ვეზირი გენერალი ალზირ-ფაშა და საგარეო საქმეთა მინისტრი მუსტაფა რეშიდი. სულთანის ირადეთი ახალ კაბინეტს მიენდო პარლამენტის არჩევნები და მოწვევა.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ვილსონმა ღამე კარგად გაატარა. იმედი აქვთ, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდება.

მაროკოში აჯანყებულები ესპანელებს ნებდებიან. ბრძოლა სხვადასხვა ადგილას გრძელდება. აჯანყებულთა მხარეზე დიდი მსხვერპლია.

ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ოქტ. 9. ჰელსინგფორსი. ოქტ. 1. 6 ოქტომბერს შეიკრიბება ლატვიის ეროვნული საბჭო. პირველ სხდომაზე ზავის საკითხზე ითათბირებენ.

პსკოვი, ოქტ. 5. თეთრგვარდიელთა გაზეთ „სვობოდნაია როსია“ ს ცნობით, ფინეთის მთავრობამ ფინეთიდან რუსების გადასახლება დაიწყო. გადასახლებულთა რიცხვს ეკუთვნის ყველა, ვისაც ბოროტმოქმედებაში და სპეკულიაციაში მიუძღვის დანაშაული. ესენი იგზავნებიან, საბჭოთა რუსეთში და იმ ოლქებში, რომელიც ჩრდილო დასავლეთის რუსეთის მთავრობის ხელშია. ყველა ისინი, ვინც მტრულად უყურებს ფინეთის მთავრობას და ყველა ყოფილი ოფიცრები და ვინც სამხედრო სამსახურში გამოდგება, მოვალენი არიან სადაც ბინები არ არის საკმარისი, იმ ადგილებიდან წავიდნენ.

ველიკიე ლუკი ოქტ. 7. გამოქცეულთა სიტყვით, პოლონელი ოფიცრები ლაპარაკობენ, რომ პოლონეთის და ლიტვის შორის ომი აუცილებელია. პოლონეთში არეულობაა. ციხეები სავსეა. მარტო ვარშავაში 10,000 კაცია დაპატიმრებული.

№ ის არმიის შტაბი. ოქტ. 9. მტრის ჯარში სახადია გავრცელებული. მრავალ ასეულში 30—40 კაცი და დარჩა სიკვდილის შემთხვევა 50 პროც. აღწევს,

ლონდონი. ოქტ 2. ოფიციალური ცნობების თანახმად, ბრიტანიის სამხედრო ფრონტიდან დაღუპულა სულ 254 გემი; აქედან: 13 ჯავშნოსანი, 3 ჯავშნიანი კრეისერი, 30 კრეისერი, 6 საბუქი კრეისერი, 64 ნაღმოსანი, 54 წყალქვეშა ნავი. დაღუპულ დამხმარე გემების რიცხვი აღწევს 815, აქედან 240 ქვა ნახშირის მზიდავი გემი, 248 ნაღმის ამომკრები.

ვოლოგდა. ოქტ. 8. რ. კ. პარტიის ქალაქის კომიტეტმა დაადგინა, მთელის შემადგენლობით წავიდეს დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ წაბაძა რკ. გზის კომიტეტმა.

სარატოვი. ოქტ. 7. გაზ. „ვოლნაია კუბან“ ის ცნობით, დონის ოლქში გაფიცვებთან ერთად დიდი არეულობა მოხდა. აჯანყებულთა დასაწყნარებლად ჟანდარმთა ცხენოსანი რაზმი გამოიწვიეს.

№-ის არმიის შტაბი, ოქტ. 6. დენიკინელებმა ბალშევიკებისადმი თანაგრძნობისთვის დახვრიტეს პატიოსანი და გულწრფელი ინტელიგენტი, ცნობილი მწერალი ვერესაევი. რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლისთვის პოლკოვნიკ მირონოვს და მის თანამოაზრეებს დახვრეტა გადაუწყვიტა, მაგრამ სამ. ც. ა. კომიტეტის პრეზიდიუმმა მათ დანაშაული აპატია. განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ.

ნაუენი. ოქტ. 8. სერბიის ახალი კაბინეტის შემადგენლობა შემდეგია: საბჭოს თავმჯდომარე ტროიანოვიჩი, შინაგან საქმეთა მინისტრი—პროტიჩი, გზათა—კოროეში.

ვიტებსკი. 8 ოქტ. თეთრ ლატიშთა გაზეთების ცნობით, პოლონეთმა ლატვიის მთავრობას გაუგზავნა ულტიმატუმი, სადაც ემუქრება გამოუცხადოს (გამოტოვებულია).

მოსკოვი. 9 ოქტ. სამხედრო ცნობებიდან. ჩრდილოეთის ფრონტი. ჩვენმა ნაწილებმა პუდოჟას ჩრდილო დასავლეთით საროზერსკოე დაიჭირა. პეტრეზავოდის მიმართ. მტრის ჰაეროპლანი დავამარცხეთ. მდ. სუნის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი დაიჭირა. დასავლეთის ფრონტი. ლუგის და მოზირის რაიონში ბრძოლაა. კიევის მიმართ მდ. ზადვიეთან ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა ტყვეები წამოიყვანა, ხელში ჩაიგდო შვიდი ტყვიისმფრქვეველი, 10,000 ტყვია და ზარბაზანი. კოზელცის და ნეჟინის მიმართულებით ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ სწარმოებს. ჩვენმა ჯარმა 150 ტყვე წამოიყვანა, ხელში ჩაიგდო 300 თოფი და 20,000 ტყვია. სამხრეთის ფრონტი. ნოვგოროდ-სევერსკის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა მტერს სოფლები წაართვა. მტერი სევსკის სამხრეთით გავდევნეთ. დიმიტრიევკა. აღმოსავლეთით სად. ეროხკინოსთან ჩვენი ჯარი იბრძვის. ლივნის აღმოსავლეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. ვორონეჟის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი სად. გრაფსკაიდან განდევნა და ბრძოლით სად. ტრისვიატსკაიას დაუახლოვდა. პავლოვსკის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი პოპასნაიას რაიონში უტევს. ბოგუჩარის ჩრდილოეთით ჩვენ ჯარს ახალი პოზიციები უჭირავს მდ. პოდგორნაიაზე. სად. უსტხოპერის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით ჩვენ 600 მეტი ტყვე წამოვიყვანეთ. სად. კლეტსკაიას ჩრდილოეთ აღმოსავლეთით დონის ნაპირის ხაზის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. თურქესტანის ფრონტი. ურალსკის რაიონში მტერს ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა უკან დაახევინა. აღმოსავლეთის ფრონტი. მტერი მდ. ტობოლიდან უტიატსკაიადან გავდევნეთ.

მოსკოვი. ოქტ. 9. ლონდონში არხანგელის თეთრგვარდიელთა მთავრობის დელეგაცია ჩავიდა თხოვნით, რომ ჩრდილოეთ რუსეთში ინგლისის ჯარი დარჩეს.

საფრანგეთის მინისტრმა პიშონმა განაცხადა, რომ რუსეთში და ციმბირში მყოფი საფრანგეთის ჯარის უმეტესი ნაწილი უკვე წამოიყვანა. იქ დარჩა კიდევ 4200 კაცი.

ესტონიის პროფესიონალურ კავშირების ყრილობამ მოითხოვა მთავრობისაგან, რომ ფარულ დიპლომატიას ესტონიაში არ ექნეს ადგილი. 417 ხმით, წინააღმდეგ 52 სა, ყრილობამ მოითხოვა ესტონიიდან ინგლისის მისიის გაძევება. რიგაში ყუმბარით დასჭრეს თავდაცვის უფროსი.

ჩინეთის ქალაქ ნანკინში სამი კვირაა, რაც ნავთსადგურის მუშების გაფიცვაა. ლიუდვიგსჰაფენში მუშები ფრანგ ჯარისკაცებს თავს დაესხნენ.

ესტონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა პოსკემ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ესტონიისთვის შეუძლებელი ხდება ყოველგვარი აზრი ბალშევიკებთან ბრძოლის შესახებ, მეორე მხრით ესტონიის მთავრობას აზრი ებადება, რომ მოკავშირეებს ერთსულოვანად არ სურთ ბალშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება. ამიტომ ესტონიის მთავრობამ გადასწყვიტა ქვეყნის ინტერესების მიხედვით იმოქმედოს და საბჭოთა რუსეთთან ზავის შესახებ დაიწყოს მოლაპარაკება.

სახ. ც. ა. კომიტეტის დადგენილებით, ოქტომბრის დღესასწაულისთვის გადადებული 40 მილიონი გადაეცემათ წითელი ჯარის ოჯახებს, 10 მილიონი კი დღესასწაულის მოსაწყობათ და აგიტაციისთვის. რუსეთის ახალგაზრდათა კომინისტური პარტიის სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ, რომელზედაც დაესწრო ათი ათასი ახალგაზრდა გლეხი მუშა, დაადგინა, გამოაცხადოს მობილიზაცია იმ ადგილებში, რომლებსაც დენიკინის საფრთხე მოელის. რუსეთის ახალგაზრდობამ დაადგინა ყველაფერი ფრონტს მისცეს, რაც კარგი არის ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა წრეებში.

ლიონი ოქტ 8. ლონდონიდან იუწყებიან, რომ სამშაბათს საღამოთი ლოიდ ჯორჯის თავმჯდომარეობით მინისტრთა კაბინეტის თათბირი შესდგა, რომელზედაც ირლანდიის საკითხი ირჩეოდა. ლოიდ ჯორჯის აზრით, ირლანდიას უნდა მიეცეს ისეთი კონსტიტუცია, როგორიც ინგლისის სხვაახალშენებს აქვს.

ლიონი. ოქტ. 8. ორშაბათს კლემანსომ დასავლეთის და ცენტრის ზოგიერთი დეპუტატები მიიღო და განუცხადა მათ, რომ ნდობაზე ის დასვამს საკითხს, თუ პალატა კამათს გახსნის მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ. შემდეგ კლემანსომ სთქვა, რომ ის დაუყოვნებლივ გადადგომას აპირებს საერთო არჩევნების შემდეგ.

ლიონი ოქტ. 8. სოფიიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის საზავო დელეგაციის ყოფილმა თავმჯდომარემ თეოდოროვმა მეფეს თხოვნა გაუგზავნა თავის და მთელი კაბინეტის გადადგომის შესახებ. ახალს მთავრობას ალბად ბ. სტამბულინსკი შეადგენს. მთავრობაში სოციალისტები შევლენ. 1915 წელში სტამბულინსკი ციხეში იჯდა, როგორც ომის მოწინააღმდეგე

ლიონი. ოქტ. 8. ვერ მოასწრო სერბიიდან ცნობის მოსვლამ ახალი მთავრობის დაარსების შესახებ. (დამახინჯებულია). მეთაურობით, როგორც მეორე დეპეშა მოვიდა ბელგრადიდან, რომელიც იუწყება, რომ პრინცმა რეგენტმა სკუპშჩინის თავმჯდომარე პერვოლიჩს დაავალა, მოკლე დროში შეადგინოს კოალიციონური სამინისტრო.

ლიონი. ოქტ. 8 ავსტრიის კანცლერმა რენნერმა გადასწყვიტა ეროვნულ ყრილობას განუცხადოს, რომ ის გადადგა.

ლიონი. ოქტ. 8. საფრანგეთის მთავრობამ გამოიმუშავა კანონ პროექტი ახალი არჩევნების წესრიგის შესახებ. დეპუტატთა პალატის არჩევნები დანიშნულია 16 დეკემბრიდან 11 იანვრამდე. პარიზში ქალაქის არჩევნები ნოემბერში მოხდება, პროვინციალურ საბჭოებში კი დეკემბერში. არჩევნები მოხდება პუანკარეს მოადგილეს არჩევამდე.

ვიტებსკი. 8 ოქტ. თეთრ ლატიშელთა გარეშე საქმეთა მინისტრმა მეიეროვიჩმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ლატიშთა მთავრობამ ბოლშევიკებისაგან თავის დასაცავად მიმართა საზავო კონფერენციას თხოვნით, შექმნას ნეიტრალური ზონა.

ველიკიე ლუკი .7 ოქტ. მას შემდეგ, რაც ცნობა მოვიდა საზავო მოლაპარაკების შესახებ, რიგაში საქონელი გაჰქრა. სპეკულიანტებმა საქონელი დამალეს იმ იმედით, რომ რუსეთთან ვაჭრობა დაიწყება ეკატერინოსლავში მოხალისეთა კონტრ რაზვედკამ დააპატიმრა უკრაინის ბანკის მმართველობა და მოსამსახურეები. დაპატიმრებულთა შორის ქალებიც არიან.

გერმანული პრესის ცნობები

სამინისტრო იხილავს საკითხს ზემო სილეზიიდან ქვა-ნახშირის მოზიდვის შესახებ. ტრანსპორტის მოუწყობლობის გამო მდგომარეობა ისევ მძიმეა, მიუხედავათ იმისა, რომ ქვა ნახშირის დამუშავება გაძლიერდა.

დაბრუნდა გერმანიის კომისია, რომელმაც დაათვალიერა საფრანგეთის დაზარალებული ოლქები. კომისიის აზრით, ზოგიერთი შენობის დანგრევა აუცილებელი ყოფილა ჯარის წინ სვლის დროს. ზოგიერთ მაღაროს აღდგენას უკვე შეუდგნენ, ზოგან კი უკვე დაიწყო ქვა ნახშირის დამუშავება. მაღაროები 2—8 წლის განმავლობაში იქნება აღდგენილი, საჭიროა გერმანიის დახმარება.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბაუერის სიტყვამ და განსაკუთრებით კი რეიხს-კანცლერის მიერ საზავო ხელშეკრულებით გერმანიაზე დაკისრებულ ვალდებულებათა აღიარებამ, ბალტიის პროვინციებში რაიმე მოქმედებაზე უარის განცხადებამ და მისმა გაბედულმა გამოსვლამ მონარქიზმის და მილიტარიზმის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ბაუერი კრიტიკით შეეხო კონსერვატიულ პარტიას, უკანასკნელის ლიდერმა ყოფილმა სტატს-სეკრეტარმა გრაფმა პოსადოვსკიმ განაცხადა, რომ გერმანიის ნაციონალისტები რევოლიუციონერები არ არიან. კანცლერმა აგრეთვე გაილაშქრა დამოუკიდებელთა მოქმედების და კომუნისტების უტოპიათა წინააღმდეგ. „ფორვერტს“-ი ამბობს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიაში თანდათან უფრო მეტ უფლებებს იძენს. დამოუკიდებლებიც კი უნდა დარწმუნდნენ, რომ გერმანიის მმართველობის სათავეში მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენელნი უნდა იყვნენ. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სამშაბათს დემოკრატების მიერ წარმოთქმული სიტყვა. დემოკრატების ბელადათ ეხლა გამოვიდა ჰამბურგელი დ-რი პეტერსენი, წინანდელ ბელადის დ-რ ნაუმანის მაგიერ. პეტერსენმა თავის დეკლარაციაში მთავრობას დაუჭირა მხარი. „ალგემაინე ცეიტუნგ“ ი აღნიშნავს, რომ ეროვნულ ყრილობის 6 პარტიიდან ეხლა 3 ახალ პროგრამას უჭერს მხარს. ამით უზრუნველყოფილი იქნება ყრილობაზე უმრავლესობა, რომელიც საჭირო იქნება იმ პროგრამის გასატარებლათ, რომელსაც კრიტიკას უკეთებს ოპოზიცია, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან. მაგრამ ყველაფერი მოწმობს, რომ პროგრამა ისეა შედგენილი, რომ მას ყველა მიიღებს.

დამფუძნებელი კრება

10 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ხიმ. მდივანი

თანახმად ქრ. შალაშიძის მოხსენებისა, დამფუძნებელი კრება უკამათოდ იღებს სარედაქციო კომისიის მიერ შემუშავებულ საბოლოვო ტექსტს საქართველოს სენატის ზოგიერთ თანამდებობის პირთათვის ჯამაგირის გადიდების დეკრეტისას.

დეკრეტი ერთდროულ სანიტარულ და პირდაპირი სახელმწიფო გადასახადების მყიდველზე გადატანის აკრძალვისა. მომხსენებელი ნ. ელიავა აღნიშნავს, რომ ერობებს და ქალაქის თვითმართველობებს მინიჭებული აქვთ უფლება ერთდროული სანიტარული გადასახადი გაწერონ მაგრამ სანამ გაწერა მოხდებოდა, ეს გადასახადები ვაჭრებმა მომხმარებელზე გადაიტანეს იმ სახით, რომ, თუ მაგალითად ქალაქი მათ ახდევინებს ერთ მილიონს, ისინი 10 მილიონს იღებენ მომხმარებლებისაგან. ქალაქის გამგეობას განზრახული ჰქონდა სავალდებულო დადგენილების გამოცემა და დასჯა იმ პირთა, ვინც გადასახადს მომხმარებელზე გადაიტანდა მაგრამ გამოირკვა, რომ სავალდებულო დადგენილების თანახმათ დასჯა-შეიძლება გახდეს სადაო სასამართლოში „ამ მხრით დამნაშავეთა დასჯა მეტად რთული იქნება. სასამართლოს წესით დასჯა დიდ ხანს გასტანს, რამდენიმე ინსტანციაში საქის გადატანა დიდ დროს მოითხოვდა. თუ გვინდა მიზანს მივაღწიოთ, საჭიროა დამნაშავე მაშინვე ისჯებოდეს. დამნაშავეთა დასჯის უფლება უნდა მიენიჭოს თვითმართველობას, მაგრამ რადგანაც შესაძლებელია ადმინისტრატიულათ დასჯა მეტად სახიფათო გამოდგეს, მთავრობას ნება ეძლევა სადაც საჭიროთ დაინახავს შეაჩეროს ამ დეკრეტით მიერ მინიჭებული უფლება. ამ დეკრეტს აკრიტიკებს გრ. ვეშაპელი, რომლის სიტყვის დასასრულსაც დარბაზში არ აღმოჩნდა საკმაო რიცხვი დეპუტატების—ქვორუმისათვის და თავმჯდომარე იძულებული იყო სხდომა დაეხურა.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე ცენტრალური კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის საკონტროლო კომისიის სხდომა.

◆ **ნ. ჟორდანიას ბიუსტის შეძენა.** ქალაქის გამგეობას განზრახული აქვს შეიძინოს მოქანდაკე ი. ნიკოლაძისაგან ნ. ჟორდანიას სამი ბიუსტი.

◆ **მისტ. ოლივერ უორდროპი მცხეთაში.** გუშინ, შუადღის 2 საათზე უმაღლესი კომისარი მისტერ ოლივერ უორდროპი ავტომობილით გაემგზავრა მცხეთაში, მცხეთის მონასტრის დასათვალიერებლათ.

◆ **ვ. ბარნოვის იუბილეისათვის.** ქართველ მწერალთა კავშირის დადგენილებით, ამ მოკლე ხანში, გადახდილ იქნება დამსახურებულ მწერლის ვასილ ბარნოვის 30 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე. იუბილეს მოსაწყობათ არჩეულ უნდა იქნეს სპეციალური კომისია. ამისთვის მწერალთა საბჭო სთხოვს ბარნოვის პატივისმცემელ პირთ, კეთილ ინებონ და მობრძანდნენ მწერალთა კავშირის ბინაზე, რუსთველის პროსპ. ყოფილ რესტორან „ანონში“, არტისტიულ საზოგადოების გვერდით, კვირას, დილის 12 საათზე.

◆ **დრამატიული სტუდიის** შედგენილობა ამ ჟამად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. სტუდიის ფინანსიური მხარე იკისრა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირმა. სტუდიას განაგებს სამხატვრო საბჭო. სტუდიის თანამშრომლებთა სია ჯერ-ჯერობით შემდეგია: ქალნი: ქ.ქ. ანჯაფარიძე ვ., გამრეკელი ბ., ნონიე ნ., ქიქოძე ანეტა, ქიქოძე ალისა, ციმაკურიძე ელ., ჭავჭავაძე ს., ღოღობერიძე თ., წერეთელი ნ., ეპიტაშვილი ს. ვაჟნი: ბ.ბ. აბაშიძე ვ., გელოვანი მ., სარჩიმელიძე კ., ვასაძე ა., ცანავა მ., ძნელაძე დ., თაზიშვილი გ., ლომაშიძე მ., ყიფშიძე გ., ჭიაურელი მ. რეჟისორები, გ. ჯაბადარი, მ. ქორიძე, კ. შათირიშვილი. რეჟისორის თანაშემწე: გ. ერისთავი. სცენარიუსი ანთაძე, მოკარნახე გულაშვილი. სამხატვრო საბჭოს წევრები: ნ. ერისთავი, ვ. ქავთარაძე, შ. შარაშიძე, ტ. შევარდნიძე, შ. ა. ამირაჯიბი, ცენტრალურ კოოპ. კავშირიდან სამხატვრო საბჭოში: შ. გოგებაშვილი, ი. ცაგარელი. სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე შ. ამირაჯიბი. ადმინისტრატორი ამაშუკელი, სტუდიის დირექტორი გ. ჯაბადარი.

◆ **სტუდ. კოოპერატივი „სტუდენტი“.** კვირას, დილის 11 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, დანიშნულია სტუდენტთა კოოპერატივ „სტუდენტი“ ს დამფუძნებელი კრება. დასწრება შეუძლია მხოლოთ წევრებს. საწევრო გადასახადი—50 მან., საპაიო კი 5 მან.

წევრათ ჩაწერა შეიძლება საღამოობით—გამგეობის ოთახში. აგრეთვე კვირას, დილის 9 საათიდან.

◆ **„ფრონტის დღის“** მთავარმა კომიტეტმა შესწირა ლაზარეთს № 41 გვარდიელებისათვის გაზეთების გამოსაწერად: ყოველ დღიურათ „ერთობა“ 8 ცალი, „ბორბა“ 2 ცალი, „საქართველო“ 1 ცალი, „სახალხო“ 1 ცალი.

◆ **ქალაქის გამგეობამ მისწერა** თფილისის მილიციის უფროსს ასწერონ და ჩააბარონ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის ყოფილ კაფე „კარალიდო“-ს ქონება, რომლითაც დღემდე სარგებლობდა უნივერსიტეტის სასადილო.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს სახ. სახ. არს. ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოგენ. იქნება: ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში კ. ჯანბერიძის მიერ ხელმოწერილ სამადლობელ წერილში შეცდომით არის დაწერილი: 3 ოქტომბერს საღამოს თფ. მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობამ გადასდო გვარდიისათვის 5000 მან.“ და სხვა. უნდა იყოს: „3 ოქტომბერს სიღნაღის მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობამ გადასდო და სხვ.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, პროფესიონალურ კავშირების ბინაზე („ბო მონდი“ ელისაბედის ქ., № 14). დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაა.

კვირას, 12 ოქტ. სალ. 4 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის 1 აუდიტორიაში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის სოც. დემ. სტუდენტ-მსმენელთა საერთო კრება. დასწრება აუცილებელია ყველა ამხანაგებისათვის.

— დღეს, საღამოს 5 ს. დანიშნულია ვერის რაიონის სახალხო გვარდიელების საზოგადო კრება, გვარდიელებისათვის დასწრება სავალდებულოა.

— ქალთა საოსტატო სემინარიის მოწაფეთა მშობლების საერთო კრება დანიშნულია კვირას, 12 ოქტომბერს დილის 10 საათზე, სემინარიის შენობაში უდელის ქ. № 3, ყოფილ მე-6-ე გიმნაზიაში.

— შაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 5 ს., თფილისის საეპარქიო ქალთა მე 8 გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ამავე გიმნაზიის მშობელთა წრის საზოგადო კრება. წრის საბჭო უმორჩილესად სთხოვს მოწაფეთა მშობლებს აუცილებლივ დაესწრონ ხსენებულ კრებას.

რუსეთის ცხოვრება

სოვნარკომის ლტოლვა აზიისაკენ.

გაზეთ „სტანიჩნიკ“ კურსკიდან დეპეშით აცნობებენ შემდეგს:

„საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელთა ნაცნობნი გვაცნობებენ, რომ სოვნარკომის ლტოლვა თურქესტანისაკენ იმდენათ დიდია, რომ იმის გავლენით არის შედგენილი მთელი გეგმა საზამთრო კამპანიისა და მთელი სამხედრო ოპერაციები წითელ არმიელთა მიმართულია უზრუნველსაყოფად სამხრეთის გზისა—თურქესტანსა და კავკასიისაკენ მთავარ გზათ ისინი სთვლიან რკინის გზას— მოსკოვი სამარა- ორენბურგი- აქტიუბინსკი-ტაშკენტი და ვოლგას კასპიის ზღვით. ამის გამო მთავარ კომიტეტს ნაბრძანები აქვს მთელი სამხედრო ძალა წაიყვანოს ურალელების გასანადგურებლად, რომელნიც სდგანან მათ გზაზე და ხელს უშლიან მათ მიერ ვოლგის ბასეინის და ცარიცინის დაპყრობას. ამასთანავე სოვნარკომი დიდ იმედებს ამყარებს ჩინეთის, ინდოეთის და სპარსეთის ხალხთა სიბნელეზე და აგრეთვე რუსეთის განაპირა ადგილების მოსახლეობაზე. ჩინეთში, ინდოეთში და სპარსეთში გაგზავნილი აგენტები აღნიშნავენ ამ ქვეყნებში ბალშევიკების იდეების დიდ გამარჯვებას, მხოლოდ საჭიროთ სცნობენ იქ პირველ ხანებში რეალურ სამხედრო ძალის და სამხედრო ხელმძღვანელთა გაგზავნას, რომელნიც [illegible] იქნებიან ბალშევიზმის თვალსაზრისით. ინდოეთის [illegible], რომ ისინი [illegible] იქნებიან [illegible] და რომ [illegible] განდევნილ [illegible] ინგლისელები“.

ბალშევიკების მიმართვა ინგლისის ხალხისადმი.

თანახმად პეტროგრადის საბჭოს დადგენილებისა, აღმასრულებელმა კომიტეტმა რადიოთი გაუგზავნა ინგლისის ხალხს შემდეგი მიმართვა:

„თქვენი მთავრობა აცხადებს, რომ ის არ იბრძვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ვითომდა გაჰყავს თავისი ჯარი არხანგელსკისა და მურმანიდან. თქვენი მთავრობა აცხადებს, რომ ის მხოლოდ ეხმარება შავრაზმელ გენერლებს—კოლჩაკს, დენიკინს და იუდენიჩს—ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. რასაკვირველია, ასეთი დახმარებაც არის ცინიკური და მძარცველობითი ხასიათის ჩარევა რუსეთის ხალხის საქმეებში, მაგრამ ინგლისის მთავრობა სჩადის უფრო მეტს: უკვე მთელი თვეა, რაც ინგლისელთა მფრინავები უშენენ ყუმბარებს კრონშტადტს. ამ ყუმბარებით მოკლულია რამოდენიმე ქალი და ბავშვი. 18 აგვისტოს ღამით ინგლისელთა კატერებმა მოახდინეს კრონშტადტზე აშკარა ყაჩაღური თავდასხმა. სამი ასეთი კატერი ჩვენ ჩავსძირეთ, ტყვეთ წამოვიყვანეთ 10 კაცი და ყველა ისინი არიან ინგლისელები, ინგლისელ ოფიცერთა ხელმძღვანელობით.

ეხლა თქვენ ხედავთ, თუ როგორ სტყუის თქვენი მთავრობა. სანამდე მოითმენთ თქვენ, რომ თქვენმა მთავრობამ რუსეთთან ომის გამოუცხადებლათ ჩაიდინოს ის, რასაც სჩადიან მხოლოდ დიდი, დახელოვნებული ყაჩაღები? რუსეთის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს იმპერიალისტურ მძარცველთა წინააღმდეგ. ინგლისის მუშები, ჯარისკაცნი და მეზღვაურნი ჩამოაგდებენ ჯალათთა მთავრობას“.

ამიერ-კავკ. კოოპერატივ. კავშირის მე-5 ყრილობა

ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს ქ. თბილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა 253 დელეგატი. პარტიათა ძალთა განწყობილება ასეთია: სოც.-დემ.—152, სოც. ფედ.—55, უპარტიო—21, სოც. რევ.—10, ნაც. დემ.—8, კომუნისტი—3, დაშნაკელი—3, კადეტი—1.

ყრილობა გახსნა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა გამგეობის სახელით **ივანე დარჩიამ**, რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც კოოპერატივებმა შეასრულეს ამ ეკონომიურ არევ-დარევის დროს. მან აგრეთვე ყრილობას მოაგონა ჩვენში კოოპერატიული მოძრაობის დაწყების ისტორია და ის მძიმე პირობები, რომლის გადალახვა მათ მოუხდათ. კოოპერატიული ორგანიზაციები—სთქვა მან, წარმოშვა დემოკრატიამ, ამიტომ ჩვენს დემოკრატიულ წყობილებაში კოოპერატივებმა უნდა განაგრძონ თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა და ყველა ეკონომიურ ორგანიზაციებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული გააჯანსაღონ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური მხარე.

შემდეგ ის მოუწოდებს პრეზიდიუმის არჩევისაკენ.

თ. ღლონტი ზედამხედველ საბჭოს სახელით პრეზიდიუმში ადგენს შემდეგ სიას: თავმჯდომარეთ: ის. რამიშვილი, მის ამხანაგებათ: გრ. ურატაძე და ს. მაჭავარიანი, მდივნებათ: საბაშვილი და თაქთაქიშვილი.

პრეზიდიუმი იჭერს თავის ალაგს. თავმჯდომარე ის. რამიშვილი, რომლის გამოსვლას ყრილობა მხურვალე ტაშით ხვდება, შემდეგი სიტყვით მიმართავს ყრილობას: მე ვიცი, დიდი მნიშვნელობა კოოპერატივებისა საერთოდ და განსაკუთრებით დღევანდელ კრიტიკულ დროს, როცა ის კვებავს და მოსავს მშიერ და ტიტველ ხალხს, იცავს მას ფიზიკური განადგურებისაგან. საერთაშორისო ომმა, როგორც იცით, არევდარია ეკონომიური ცხოვრება, გაატიტვლა და დაამშია ქვეყანა. ჩვენ ისე ვერ ვიცხოვრებთ, როგორც ეს საჭიროა, მაგრამ არც ისე უბედურნი ვართ, როგორც სხვაგან არიან. ჩვენში ჯერ კიდევ არ ასულა ბავშვთა სიმშილით სიკვდილიანობა 60—80 და 100 პროცენტამდე, როგორც ეს არის ზოგიერთ ქვეყნებში. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას და ცხოვრებას. თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა დიდი მუშაობა იყო საჭირო, რომ ასეთი მდგომარეობა ასე გადაგვეტანა. მართალია, ბევრი გაგიკეთებიათ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, გრძელი გამოდგა თქვენი გზა, დიდი უნდა იყოს თქვენი მოთმინება და ენერგიაც, თქვენ აქ შეიყარენით იმისთვის, რომ ერთმანეთს გაუზი

რით სიხარული და მწუხარება, ცოდნა და გამოცდილება. თქვენ თვალს გადაავლებთ აგრეთვე წარსულში დაშვებულ შეცდომებს. ჩემი რჩევაა—ნუ მოერიდებით იმ შეცდომებს, რომლებსაც ადგილი ექნებოდა თქვენს მუშაობაში, გაითვალისწინეთ სამუშაო გეგმა მომავალი მოქმედებისათვის და შემდეგ ისევ შეუდექით თქვენს საყვარელ საქმეს.

მე ვიცი, რომ თქვენ უყვარხართ იმ ხალხს, რომელსაც ემსახურებით, მაგრამ სძულხართ და გდევნით ის ხალხი, რომელიც სხვისი ნაშრომით ცხოვრობს—სპეკულიანტები სპეკულიაცია შავ ფრთებ გაშლილი და კლანჭებ მოღერებული გდგათ თავზე და ცდილობს თქვენს დაცემას, რათა შემდეგ წამოგაჯდეთ და კორტნა დაგიწყოს. თქვენ მას უნდა დააჭრათ ეს ფრთები და კლანჭები. ის თქვენ გიგონებსთ ტყუილებს, ჭორებს, რომ ჩაგკლან. ის როგორც მატლი რომ ღრღნიდეს ადამიანის გულს, ისე ცდილობს თქვენი გულის გაღრღნას, რომ თვითონ იპარპაშოს, მაგრამ თქვენ მაინც ნუ გეშინიათ მისი. ჭორი ხვედრია უბადრუკ, უძლურებისა. ამ ჭორებს თქვენ ადვილათ დაამარცხებთ. თქვენ გეშინოდეთ თქვენივე წრეში შემოპარულ სპეკულიანტებისა. ისინი გაგხვრეტ სახალხო მოღვაწეთა ქურქში და შიგნიდან გიღრღნიან გულს. ეს მართლაც საშიშოა. შეებრძოლეთ ამ „შინაურ" სპეკულიანტებს, გასწმინდეთ მათგან თქვენი წრე.

ნუ გაგიტაცებთ ანგარიშება, სჭამეთ თქვენ ნაკლები და აჭამეთ ხალხს მეტი. ნუ გეშინიათ სიღარიბის, გეშინოდეთ—სიმდიდრის. (მხურვალე ტაში).

მთავრობის სახელით ყრილობას ესალმება შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი**. ის ამბობს: მთავრობის სახელით მოგესალმებით თქვენ, ყრილობას.

ჩვენ ვიცით, რომ იმ სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნის დროს, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, გვჭირდება სხვადასხვა საზოგადოებრივ ძალთა დახმარება, ვიცით აგრეთვე, რომ ერთ დიდ დარგში, ჩვენ სისუსტეს ვგრძნობთ. იქ კი, სადაც საქმე ეხება სოციალურ და პოლიტიკურ დარგს, ჩვენ არ ვგრძნობთ სისუსტეს. ამ უკანასკნელ დარგში ჩვენ ძლიერნი ვართ. მთელი უკანასკნელი 20—25 წლის განმავლობაში მოწინავე ნაწილი დემოკრატიისა სოციალურ პოლიტიკურ გარდაქმნისაკენ მიისწრაფოდა. აქ ჩვენი ენერგია მკვეთრია, ვით ბასრი ხმალი; მე ვამბობ, რომ სოციალურ პოლიტიკურ დარგში, რანაირი საკითხიც არ უნდა გვიდგას წინ, ჩვენ, როგორც ბრძოლაში გამოწრთობილნი, ავიღებთ იმ გზას, რომელიც შეეფერება ხალხის ინტერესებს და ნაკარნახევია დემოკრატიის სურვილით. მაგრამ არის ერთი სფერო, სფერო ფრიად მნიშვნელოვანი—ეკონომიური, აქ ჩვენ სუსტნი ვართ ბევრ სხვადასხვა მიზეზებისა გამო. ომმა მეტის მეტი ღრმა ცვლილებები მოახდინა არა მარტო პატარა სახელმწიფოებში, არამედ დიდ სახელმწიფოებშიც. აი ამ ცვლილებების ჩვენს საკეთილდღეოთ გამოყენებას ვერ ვახერხებთ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი ძალები სუსტია. ეს, როგორც მოგახსენეთ, მრავალგვარ პირობებისაგანაა გამოწვეული. საერთაშორისო ომმა ნიადაგი გამოაცალა მანჩესტერულ სკოლას (ვაჭრობის თავისუფლების სკოლაა პოლიტიკურ ეკონომიაში). ეს დღეს არც ერთ დიდ სახელმწიფოს არა სწამს, ეს არ შეუძლიან იწამოს არც ჩვენმა პატარა სახელმწიფომ.

ამ ახალ საქმეში ჩვენ სუსტნი ვართ, მაგრამ ერთ რამეში კი დარწმუნებულნი ვართ: როცა შედარებით პატარა მდინარეს პატარ პატარა რუები ერთვის, ის ძლიერდება და დიდი მდინარე ხდება. მე მგონია, რომ ჩვენი სუსტი ძალა შეუკავშირდება თქვენს სუსტს ძალებს, შეუკავშირდება აგრეთვე სხვადასხვა ეკონომიურ ძალებს და მაშინ ის საკმაოდ ძლიერი სძლევს იმ დაბრკოლებებს, რომელნიც დღეს ჩვენ გვეღობება წინ ეკონომიურ სფეროში და შექმნის ახალ ეკონომიურ ორგანიზმს. ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყრება იმ სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნას, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით და ჩვენ მიერ იდეალათ დასახულ წყობილებაში გადასვლა გაგვიადვილდება. ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ ეკონომიკა საფუძველია პოლიტიკური წყობილების. ამიტომ მთავრობას სწამს, რომ მას შეუძლია იაროს მხოლოდ ერთი გზით; მთავრობის გზაა: საზოგადოებრივი მეურნეობისათვის ხელის შეწყობა; მე იმედი მაქვს, რომ თქვენ გაიგებთ ამ გზას, გაიმსჭვალებით იმ აზრებით, რასაც თქვენ გიკარნახებთ კოოპერაციის პრინციპები და ხელი ხელ ჩაკიდებული ივლით მთავრობასთან. მთავრობა კი მზათ იყო, არის და იქნება თქვენთვის სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. მე სრული იმედი მაქვს, რომ თქვენი ძალების დახმარებით მთავრობას მისცემთ საშვალებას, რომ მან თავისი სუსტი, მაგრამ იდეიურის მხრით მდიდარი ძალები გააძლიეროს. მე კიდევ სალამს გიძღვნით იმ რწმენით, რომ ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ვივლით საკაცობრიო იდეალებისაკენ და ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიური ორგანიზმის შექმნას მტკიცე ნიადაგს ჩაუყრით. (მხურვალე ტაში).

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილების წარმომადგენელი პროფესორი **ალ. მილაშევსკი**, რომელიც ეხება მოსკოვის ბანკის მუშაობას ტფილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და შემდეგაც. ის აღნიშნავს იმ სოლიდარულ მუშაობას, რომელსაც ადგილი ჰქონია ბანკის და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის შორის და ამბობს, რომ შექმნილ პოლიტიკური პირობების გამო საქართველოს და რუსეთის კოოპერაციის გაერთიანება შეუძლებელი ხდება, მაგრამ ეს გარეგნულად, არსებითად კი ამ კოოპერატივებს შორის იქნება სრული იდეური სოლიდარობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ნამდვილი კოოპერატორები, რუსეთის საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი თანაგრძნობით უყურებს საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. (ტაში)

პროფესორი **ტოტომიანცი** ესალმება ყრილობას საერთაშორისო კოოპერაციის სახელით, ის ახასიათებს დასავლეთ ევროპაში კოოპერატიულ მოძრაობას და ამბობს: ომის განმავლობაში ევროპაში კოოპერატიული მოძრაობა, როგორც აქ, ძალიან განვითარდა. ახლა კოოპ. მოძრაობის გაფართოვებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ მის გაღრმავებაზე: სურთ კოოპერაციის მორალური მხარე ასწიონ.

ინგლისში ამ ჟამად მომხმარებელ კოოპერატივის წევრთა რიცხვი უდრის 4 მილიონს. წლიური ნავაჭრი 80 მილ. გირვ. სტერლინგს. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული სასოფლო მეურნეობაზე. უკანასკნელ კოოპერატიულ ყრილობაზე ინგლისში დიდი აგიტაცია სწარმოებდა იმისათვის, რომ პარლამენტში ადგილი დაეთმოს კოოპერაციის პარტიას.

გერმანიაში მიუხედავათ იქ შექმნილ მძიმე პირობებისა, როგორც მომხმარებელმა, ისე საკრედიტო კოოპერატივებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები გერმანიაში კოოპერატორებს მთავრობაში ადგილს უთმობენ, რაც მოწმობს კოოპერატივების დიდ გავლენას საზოგადოებაზე.

საფრანგეთში ომის დროს მოხდა რადიკალური ცვლილება კოოპერატიულ მოძრაობაში: წინეთ მთავრობა აქ უარყოფით უყურებდა კოოპერატიულ მოძრაობას, ომის დროს კი მთავრობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა კოოპერატივებს ფულის მიწოდებით. შეიქმნა სამხედრო კოოპერატივი, რომელიც მთელს საფრანგეთის ფრონტს აწვდიდა სურსათ სანოვაგეს. **შვეციაში** და **დანიაში** მწვავეთ არ უგრძვნია მცხოვრებს სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა კოოპერატივების დახმარების გამო.

იტალიაშიც კარგათ არის განვითარებული კოოპერატიული მოძრაობა. კოოპერატივები იქ საუკეთესო ადმინისტრატორებსაც იძლევიან კოოპერატორებს იქ მინისტრის პორტფელსაც ხშირად აბარებენ.

ასეთია ამ უკანასკნელ ხანებში კოოპერატიული მოძრაობა. მე მწამს, რომ საქართველოს კოოპერატივიც შეუერთებს თავის ხმას საერთაშორისო კოოპერაციის, მით უმეტეს კოოპერაციას არ სწამს სახელმწიფო საზღვრების გადაულახველობა. კოოპერატორები ყოველთვის სოლიდარულათ არიან ერთმანეთთან განწყობილნი, ისინი არასდროს არ ჩხუბობენ. ომის დროს ინგლისის კოოპერატორებს კავშირი არ შეუწყვეტიათ გერმანიის კოოპერატორებთან. ერთხელ კიდევ სალამი ჩემგან თქვენს ყრილობას (მხურვალე ტაში).

კოოპერატიული ბანკის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება **შ. გოგიბაშვილი**.

შემდეგ მოკლე მისასალმებელ სიტყვას ამბობს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი**: „მე მოვედი თქვენთან არა როგორც მინისტრი, არამედ, როგორც ამხანაგი კოოპერატორი (ტაში). მე თქვენს წრიდან გამოსულს, არ შემიძლია ერთი წუთითაც დავივიწყო, რომ კოოპერატივს დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ეკონომიურ სფეროში. ორატორი იგონებს კოოპერატიული იდეისათვის ძველ ბრძოლას და ამბობს, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ნაძირალების მოძრაობა კოოპერაციის წინაამდეგ დაიწყო. სპეკულიაცია შიგ თქვენს წრეში შეიპრა და თქვენი ვალია მასთან სასტიკი ბრძოლის წარმოება. დღეს ისეთი პირობები შეიქმნა, რომ ქალაქი სოფელს მოწყდა. კოოპერატივებმა და ერობებმა უნდა გააბან ქალაქსა და სოფელს შუა ძაფი. კოოპერატივებმა უნდა მოჰკიდონ წარმოებას ხელი და სოფელს მიაწოდონ მისთვის საჭირო საგნები. ჩვენი კოოპერაცია საერთაშორისო ცხოვრებაში გამოდის: ის გზავნის თავის წარმომადგენელს საერთაშორისო კოოპერაციის ყრილობაზე. გაუმარჯოს საქართველოს კოოპერაციას, გაუმარჯოს საერთაშორისო კოოპერაციას (მხურვალე ტაში). სოც.-ფედერალისტების სახელით ყრილობას ესალმება **ს. დადიანი**, რომელიც აღნიშნავს კოოპერაციის დიად მნიშვნელობას მომავალი წყობილებისათვის ნიადაგის მოსამზადებლათ.

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ **გრ. ურატაძე**: „თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა მხურვალე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი პარტია კოოპერატივების დაარსებაში და შიგ მუშაობაში. ეს აქტიური მუშაობა და მონაწილეობა ჩვენი პარტიისა ცოტათი მიწყდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენს პარტიას კოოპერაციაზე შეხედულება შეეცვალოს, არამედ ეს არის გამოწვეული ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით. ისტორიამ მეტად მძიმე ტვირთი აჰკიდა ჩვენს პარტიას: ის გახდა სახელმწიფოებრივ პარტიად და ჩაება ამ მუშაობაში. არავინ არ გრძნობს სიდიადეს და მნიშვნელობას კოოპერატივებისა ისე, როგორც ჩვენი მმართველი პარტია. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება აწეწილ დაწეწილია.

ჩვენი პარტია დარწმუნებულია, რომ კოოპერატივებთან ერთად შევძლებთ ჩვენი პატარა ნავი, რომელიც გატყორცნილია დიდ ოკეანეს აგორებულ ზვირთებში, მშვიდობიანათ მივიყვანოთ იმ ნავთსაყუდელში, სადაც მოისვენებენ ყველა ტვირთ მძიმენი და მაშვრალნი. ამ იმედით და ამ რწმენით უსურვებ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. (ტაში).

წაკითხულ იქნა რამოდენიმე მისალმების დეპეშები. შემდეგ განხილულ და მიღებულ იქნა ყრილობის რეგლამენტი. სხდომები მოხდება დილ დილობით.

თფ. მაზრის ერობის მოკლევადიანი სამხ. კურსების დებულება

1. სამეურნეო კურსებზე ყურის მგდებლად მიღებულ იქნება ყველა მსურველი, წერა-კითხვის მცოდნე, სრულიათ უფასოთ ზოგიერთ შემთხვევაში კურსებზედ მიღებულ იქნება აგრეთვე წერა-კითხვის არამცოდნეც.
2. კურსებზე შეიძლება მიღება არა უმეტეს 50 კაცისა.
3. კურსებზე მეცადინეობა იქნება ყოველ დღე. ლექციები დაიწყება დილიდან 9 საათ. 1 საათამდე და 4—5 ს იქნება პრაქტიკული მუშაობა.
4. კურსებზე მსურველი უნდა ჩაეწეროს ერთი კვირის წინეთ ვიდრე ლექციები დაიწყება: სოფ. საგარეჯოში 25 ოქტ—10 ნოემ., სოფ. კოდში—15 ნოემ.—30 ნოემ., და ალბულაღში 15 დეკმ.—31 დეკმ.
5. კურსებზე წაკითხული იქნება შემდეგი დარგები მეურნეობისა: მებაღეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, ხვნა-თესვა და სამეურნეო იარაღების მექანიკა დაქონლის მოვლა—მოშენება.
6. ლექტორებათ იქნებიან: მევენახეობა—ბერეკაშვილი მებაღეობა და მებოსტნეობა მ. ჩხატარაიშვილი, საქონლის მოვლა—ნ. ყავრიშვილი, ხვნა-თესვა—ი. ქურდიანი, სამ იარაღების მექანიკა—ი. ლომოური.
7. ლექციები განმარტებულ იქნება პრაქტიკულ მუშაობით და მსმენელებს ბუნდოვანი სურათები ეჩვენება.
8. სამეურნეო კურსების გამგეთ ითვლება იმ რაიონის ერობის აგრონომი, რომლის რაიონშიაც კურსები იმართება.

ს.-დ. პარტიაში

თფ. საქონლის სადგური. დღეს, 11 ოქტომბერს, თფ. საქონლის სადგურში შესდგება ს. ს. დ. მ. პარტიის წევრების საერთო კრება. მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გ. ცინცაბაძე, მოხსენებას გააკეთებს ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე. მოხსენება იქნება კავშირის კომიტეტისაგან, მოხსენება იქნება აგრეთვე საგამომძიებლო კომისიისაგან. ამიტომ ვთხოვთ ამხ. პარტიის წევრებს აუცილებლად გამოცხადდენ დანიშნულ დროზე. ვინც დააკლდება ამ ფრიად საყურადღებო კითხვებს და საპატიო მიზეზი არ ექნება, პარტიიდან იქნება გარიცხული.

ამხანაგური სალამით საშა ჩიგოგიძე.

გუშინდელ ანგარიშში შეცდომით არის მოხსენიებული ცინცაძე, უნდა იყოს ამხ. გ. დ. ცინცაბაძე. ს. ჩ.

სამტრედია. 2 ოქტომბერს შესდგა სამტრედიის ს. დ. რაიონულ კომიტეტის კრება. თავმჯდომარეობს გ. დუნდუა. მოხსენებას სამაზრო ს. დ. ორგანიზაციების ყრილობიდან აკეთებს ლ. ბუაძე. ის მოახსენებს კრებას, რომ ყრილობა შესდგა, სადაც პირველათ გაკეთდა მოხსენება, საიდანაც გამოირკვა, რომ მაზრაში გარდა თვით ქუთაისისა და სამტრედიის რაიონისა, პარტიული მუშაობა ძალიან შესუსტებულა. მეტი ყურადღება მიუქცევიათ და მთელი ჩვენი ძალები დაბანდებულა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში. სისტემატიურათ მეცადინეობა, პარტიული სკოლები და სხვა ასეთები არსად ჯერ მოწყობილი არ არის. პარტიულ მუშაობაზე ყრილობამ დაადგინა ვინაიდან შედარებით ეხლა უფრო სიმშვიდეა და საამისო პირობები არის, მეტი ყურადღება მიექცეს პარტიულ იდეურ მუშაობას, რისთვისაც ყრილობა საჭიროთ სცნობს დაევალოს სხვადასხვა სამსახურში მყოფ ამხანაგებს განსაზღვრული დრო გადასდონ პარტიულ მუშაობისათვის, აგრეთვე სამაზრო კომიტეტმა იყოლიოს შეძლების მიხედვით პროპაგანდისტები.

პარტ. ორგანიზაციების წყობის შესახებ ყრილობამ დაადგინა შესდგეს სამაზრო კომიტეტი, რომლის ირგვლივ თავს მოიყრის მაზრაში არსებული ყველა ორგანიზაციები, მათ შორის ქალაქი ქუთაისიც, ვინაიდან (მაზრაზე) ქ. ქუთაისზე დაშორებულია ზოგი ადგილები, პარტიულ მუშაობის უკეთ საწარმოებლათ რაიონული კომიტეტები რჩებიან თავის ფარგლებში იმავე ფუნქციებით, როგორც დღემდე იყო, ამასთანავე საზოგადოებათა (თემების) კოლექტივები და ძირითადი ორგანიზაციები რჩებიან ძველებურათ.

საწევრო გადასახადის შესახებ ყრილობამ დაადგინა შემოღებულ იქნას 3 მანეთი თვიურათ, რაც განაწილდეს შემდეგი სახით: კოლექტივს 1 მან., რაიონ. კომიტეტს 1 მ. და სამაზრო კომიტეტს 1 მ. უკანასკნელი კი პროცენტებს გადასცემს ცენტრალურ კომიტეტს.

გაზეთის შესახებ ყრილობამ დაადგინა: გაზეთის გამოცემა გადაეცეს სამაზრო კომიტეტს და სხ.

დასასრულ არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტი 13 კაცისაგან და სარევიზიო კომისია 5 კაცისაგან. ჩვენს რაიონიდან კომიტეტის წევრებათ არჩეულია ათანასე შუბლაძე და ლ. ბუაძე.

სამაზრო ყრილობიდან მოხსენებით კომიტეტის სხდომა კმაყოფილდება და იწონებს მას. შემდეგ სხდომა ისმენს ადგილებიდან მოხსენებებს.

რკინის გზის დელეგატთა ყრილობის შესახებ ამხ. ვ. კიკაბიძე მოახსენებს კომიტეტს, რომ 15 ოქტომბრამდე უნდა მოეწყოს არჩევა დელეგატებისა, ამიტომ საჭიროა კომიტეტმა გამოსთქვას აზრი, თუ როგორ მოხდეს კანდიდატთა სიის შემუშავება. კომიტეტმა აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დაადგინა კომ. ბიუროს და რკ. გზის პროფ. კავშ. გამგეობის ს.-დ. ფრაქციის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნას რკ. გზის რაიონში არსებულ ძირითად ორგანიზაციების ბიუროების შეერთებული კრება, სადაც გამომუშავდეს კანდიდატთა სია.

შემდეგი კითხვა იყო რკ. გზის პროფესიონალურ კავშირში ადმინისტრატორების დაშვება თუ არ დაშვების შესახებ აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კომიტეტი იმ აზრისაა, რომ ადმინისტრატორები სრულიათ ჩამოშორდეს კავშირს. **ლევანიძე**

სად. საგარეჯო. 7 ოქტომბერს, სად. საგარეჯოში, მოხდა ს. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ზ ქარსაულიძე, მდივნათ ნ. რევიშვილი. კრებას დაესწრენ მეხუთე რაიონის კოლექტივის წევრი მ. მეტეხელი და მდივანი ლ. ახობაძე. დღის წესრიგში იყო წამოყენებული სად. საგარეჯოს ქვე კოლექტივის დაარსება და სხვა წვრიმალნი კითხვები. ამხ. ლ. ახობაძე მოკლეთ აცნობს კრებას, თუ როგორი წესით ხდება ქვე კოლექტივების დაარსება და რა დამოკიდებულება იქნება სად. საგარეჯოს ქვეკოლექტივის მეხუთე რაიონის კოლექტივთან. იქნა არჩეული ქვე კოლექტივში შემდეგი პირნი: ზ. ქარსაულიძე, ნ. რევიშვილი, ი. სოხიაშვილი, ნ. მჭედლიშვილი, თ. კობეშავიძე. მათ კანდიდატებათ: ი. ქამხაძე, ი. პაპინაშვილი. სად. უფროსმა თ. კობეშავიძემ სადგურის მუშა მოსამსახურეებს გამოუწერა ერთი თვით გაზეთი „ერთობა", რისთვისაც ქვე-კოლექტივი მადლობას უძღვნის. მდივანი **ნ რევიშვილი.**

მუშათა შორის

ქუთაისი. ბატონმა ისიდორე ვარაზაშვილმა მისი განსვენებული მეუღლის ვერა ვარაზაშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ შესწირა ქუთაისის მუშა-ქალთა ორგანიზაციის სკოლას სამი ათასი მანეთი (3000 მან.), რისთვისაც ქუთ. მუშა-ქალთა ორგანიზაციის გამგეობა და მასწავლებელთა კორპორაცია დიდ მადლობას სწირავს ბატონ ვარაზაშვილს.

მუშა ქალთა ორგ. გამგეობა.

პროვინცია

ნახახულევის თემი.

ნახახულევის თემი ექვსი სოფლისაგან შესდგება და მდებარეობს ქ. ხონის ჩრდილოეთით, რომელსაც სამი ვერსით უახლოვდება. თვისი მდებარეობით და ბუნებით უპირველეს ადგილად უნდა ჩაითვალოს მთელი ხონის მიდამოებში. ნიადაგიც ჩინებულია და კარგს მოსავალს იძლევა, მხოლოდ წელს, უამინდობის გამო, მოსავალი ამ თემში ძლიერ დაზარალდა, ასე რომ, თუ სურსათის შეძენის საქმეს დროით არ მიექცა ყურადღება, უეჭველია ამ მხრივ ხალხი ძლიერ შევიწროვდება; წვრილი ერთეულების საქმიანობა სოფლად, ყველასათვის ცხადია, რომ ფართეა და გაუზომელი, მაგრამ ამასთანავე ცხადზე უცხადესია, რომ ჯერ ჯერობით ჩვენში, ვინაიდან ეს საქმე ახალია, არაა დაყენებული ისე, როგორც საქმე ითხოვს, მაგრამ ამასთანავე ისიც აშკარაა, რომ ზოგიერთ თემში ეს საქმე ასე თუ ისე დაწინაურდება იმდენად, რამდენადაც შიგ გათვითცნობიერებულნი და პატიოსანი მუშაკები მოხვდებიან. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, თუ როგორ უცქერენ სოფლად ამ დაწესებულებას. უნდა მოგახსენოთ, რომ უპირველესი მისი მტერი რეაქციონერები გახლავთ, რომლებიც გულუბრყვილო მეზობლებს არწმუნებენ, თითქო ერობა მათთვის მეტი ბარგი იყოს. „ერთი მამასახლისის ნაცვლად, ეუბნებიან ისინი, ეხლა ვინ იცის რამდენი მუქთა მჭამელები გყავთო",—„რაც მოხდება, სოფელს გადახდებაო"—არწმუნებენ ბედშავებს და ეს უკანასკნელებიც ანგარიშ გაუწევლად მათ გადმოსროლილ ანკესზე ეგებიან და ხალხშიც, რა საკვირველია, უკმაყოფილების ხმა გაისმის. მაგრამ ყოველივე ეს შავი ბურუსი დღეს თუ ხვალ გაიფანტება და ერობის ასეთი ხვედრიც, რასაკვირველია, გამოიცვლება; ბოლო მეტი მათი გაწვრთნა და გათვითცნობიერება—აი რა არის დღეს დღეობით საჭირო სოფლად, და ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ინტელიგენტურ ძალებზე

ხსენებულ თემში სკოლები შემდეგნაირად არის განაწილებული: თემის შუა გულში არის უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც მოთავსდა ნახახულევის ორკლასიან სასწავლებელში და ეს უკანასკნელი კი იქნა დანაწილებული ყველა თემში არსებულ სოფლებში, ასე რომ ეხლა თვითეულ სოფელს აქვს თავისი ერთ კლასიანი სამ კომპლექტიანი სკოლა.

სკოლებისსაკითხი ერთი უმთავრესი საკითხთაგანია თანამედროვე ცხოვრებაში და სკოლები ხსენებულ თემში თუმც რიგიანადაა განაწილებული, მაგრამ არ არის ჯერ ჯერობით სასურველად მოწყობილი და უზრუნველყოფილი; ზოგიერთ სკოლაში საკმარისი პარტები და დაფაც არ არის, თუმცა მას ერობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და უკვე შეუდგა ამ საქმის მოწესრიგებას. ხსენებულ თემში ამას წინად მოხდა მორიგი სხდომა ხმოსნებისა, სადაც იყო დასმული ის საკითხი, თუ ვის უნდა შეენახა არსებული სკოლები თემში გაიმართა კამათი ამ საკითხის ირგვლივ და ხანგრძლივ კამათის შემდეგ იქნა შეტანილი კენჭის საყრელად სამი წინადადება: 1. ყველა სკოლები თემში არსებული, როგორც მაღალ დაწყებითი, ისე დაწყებითი ინახებოდეს თემის საშუალებით. 2. საერთო სკოლა მაღალ დაწყებითი ინახებოდეს მხოლოდ თემის საშუალებით, დასაწყისი სკოლები კი შეინახოს თვითეულ სოფელმა გაცალკევებით და 3. სკოლა შეინახოს თვით შიგ მოსწავლე ბავშვების მშობლებმა. პირველ წინადადებამ მიიღო 7 ხმა, მეორემ ამდენივე, დაინახა თუ არა ასეთი თანასწორობა ერთმა ხმოსანთაგანმა, სთქვა: „როცა სამი წინადადებაა წამოყენებული ერთ და იგივე პიროვნებას უფლება ეძლევა ორს მისცეს ხმაო", და ამ გვარ შეცდომით პირველი წინადადების ხმის მიმცემლებმა მეორე წინადადებასაც მისცეს ხმა. უკანასკნელმა ოთხი ხმა მეტი მიიღო და ამ რიგად გავიდა მეორე წინადადება.

ეხლა ცოტა ხნით მინდა მკითხველის ყურადღება თვით ერობის საქმიანობაზე შევაჩერო. უნდა ვთქვათ, რომ ჯერ-ჯერობით ხსენებულ თემში გამგეობა ცდილობს, რამდენადაც ძალა შესწევს აკეთოს თემის სასარგებლო საქმე; ხოლო სექციების საქმიანობა სრულიად არ არის მოწყობილი და სასურველ დონეზე დაყენებული.

გრიშა იმერელი.

გორი. 7 ოქტომბერს ქალ. გორში გაიხსნა მაზრის ექიმის თანაშემწეთა და ბებია ქალთა დელეგატების ყრილობა. ყრილობა გაიხსნა ყრილობის მომწყობ კომისიის სახელით თ. ჯანელიძემ. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა თ. ჯანელიძე, მის ამხანაგათ ქ. გოგიბედაშვილი, მდივნათ გრ. ინასარიძე. ყრილობაზე გაირჩა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ცენტრალურ საბჭოსი, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) კავშირის გამგეობის არჩევნები და 4) მიმდინარე საკითხები. გამგეობაში არჩეულ იქმნა ხუთი კაცი: თ. ჯანელიძე, ქ. გოგიბედაშვილი, კვანტალიანი, აბრამიშვილი და გრ. ინასარიძე.

17 სექტემბერს, ღამით მიუხტნენ ქურდები სოფელ ატენში მცხოვრებ სიკო კაჟილაშვილს, რომელმაც ადრე გაუგო და შეატყობინა ადგილობრივ მილიციას, ქურდებმა ვერაფრის წაღება ვერ მოასწრეს.

გორის მაზრაში ზოგიერთმა სათემო ერობებმა [illegible] ლისა და სურსათ სანოვაგის ხალხზე მიწოდებას, [illegible] ის დროს ხალხიც მოიმადლიერეს და ერთ გვარი სამოქმედო თანხაც შეიძინეს, მაგალითად მეჯვრისხევის სათემო ერობამ 100,000 მანეთად ღირებული სახლი და ბაღი იყიდა დ. ერისთავისაგან.

გორის ქალაქის თვითმართველობამ ამ დღეებში დაამთავრა ქალაქის სასაკლაო, რომელიც აგებულია ევროპიულ უკანასკნელ სასაკლაოების მსგავსათ.

გორში დაარსდა საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური, რომლითაც შესაძლებელია ლაპარაკი რესპუბლიკის ყველა ქალაქებთან.

ქ. გორის თვითმართველობამ შეიძინა უსუფთაობის გასაწმენდი ტრანსპორტი და იმედია ამიერიდან ქალაქი გორი გაიწმინდება სიბინძურისაგან.

ქ. გორს დღემდის არა აქვს წყალსადენი და დამყაყებული ქების წყლით იხრჩობა, რის გამოც ქალაქის თვითმართველობამ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ სამხედრო უწყებას დაეთმო მათთვის მის განკარგულებაში მყოფი წყალ სადენი. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა და წყლის კრანები მოეწყობა ქალაქში 30 ადგილას, რისთვისაც თვითმართველობას საჭირო მასალა შეძენილი აქვს.

ქალაქის თვითმართველობამ მთელი ქუჩები გაანათა ელექტრონით, მაგრამ რაკი ელექტრონის სადგურები დაზიანებულია, ხან გამოშვებით ქალაქს სინათლე აკლდება. შეუდგენ მესამე ახალი ელექტრონის სადგურის აგებას.

ქ. გორის თვითმართველობამ ს. გორის ხიდთან საძმო სასაფლაოს გვერდით, სადაც სანდრო კეცხოველი და სხვა გმირები მარხია, შეიძინა მამული და სახლი, სადაც გადაწყვეტილი აქვს სახალხო სახლის აგება. მისივე გვერდით ფიქრობს ქალაქის აბანოს აგებას.

გორში არ არსებობს მუშა-ნოქარ შეგირდებისათვის არავითარი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება, ამიტომ საჭიროა გორის მუშა ნოქართა კავშირმა იზრუნოს, სანამ სახალხო სახლი აიგებოდეს, რაიმე კულტურული დაწესებულება დაიარსოს.

ი. ქვატირელი.

სოფ. ოფშკვითი (ქუთ. მაზრა) ეს სოფელი ქუთაისზე 15 ვერსითაა დაშორებული. მცხოვრები 600 კომლამდეა. ეს სოფელი მდიდარია. სწავლა-განათლების მხრით ძალიან ჩამორჩენილია, არსებულ სკოლებში სწავლის საქმე ძალიან მოიკოჭლებს. სამკითხველო და კოოპერატივი ორია, ზედა და ქვედა ოფშკვითში. უკეთესი იქნებოდა, რომ სამკითხველოც და კოოპერატივიც ერთი ჰქონოდათ, მაგრამ კარგათ ეხლა ვერც ერთი მათგანი ვერ არის რიგიანათ მოწყობილი და როდესაც შეერთებული იქნებოდა, მაშინ კოოპერატივს მეტი თანხა ექნებოდა, საქონლის ყიდვა იაფათ დაუჯდებოდათ და თუ სიშორით დაიწუნებდენ, მაშინ შეიძლებოდა განყოფილების გახსნა სოფლის რომელიმე ნაწილში ქვედა ოფშკვითის კოოპერატივი „სხივი" მოთავსებულია ყოფილ მიკიტნის გიორგი ნიჟარაძის დუქანში; იგივე ნიჟარაძეა კოოპერატივის ნოქარიც. მან კოოპერატივი გახადა საქეიფო ალაგათ ბ. ჯ.

სამტრედია. მელაურის უბანში გაიხსნა უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო რაფიელ ჩიხლაძის სახელობაზე და როგორც ახალი შემოხსნებული სამკითხველო, ღარიბია ყოვლითურთ. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა დაინტერესებულ პირებს აღმოუჩინონ დახმარება, რითაც შეუძლიათ. შემოწირულება გამოიგზავნება სამტრედიის ქალაქის თვითმართველობაში გიგო სტ—ძე შენგელიას სახელზე.

გამგეობის მინდობილობით თავმჯ.
გ. შენგელია.

ზედა-შუხუთი. მადლობას უცხადებთ გარდაცვალებულ მალხაზ ნიკოლაიშვილის მეუღლეს, ვაჟს, ქალიშვილებს და სიძეებს, რომლებმაც განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად შემოსწირეს ზედა-შუხუთის სკოლის სასარგებლოთ ასი თუმანი, ტარიელ ბოლქვაძემ ასი მან.

სკოლის გამგე დავ. იმნაიშვილი.

ილორი. სოფ. მესამე ილორის სამკითხველოს, რომელიც იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში, ამავე [illegible]ში დაუდგეს სალამო 26 ივლისს, რომლის წმინდა შემოსავალი იყო ორი ათასი მანეთი და ათი მანეთი, რომელიც შემოსწირა სამკითხველოს ამხ. ნიკოლოზ კერკენჯიამ. სულ ორი ათას ათი მანეთი, გადაეცა სამკითხველოს გამგეობას. გამგეობა მადლობას უცხადებს ამ საქმის გამმართველთ

სამკითხველოს გამგეობა

წერ. რედაქციის მიმართ

პასუხად გოგია ნადირაშვილს.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთ „ერთობის" 225 ნომერში, მოთავსებული იყო გ. ნადირაშვილის წერილი: „ჩარჩობა (სპეკულიაცია) სახელმძღვანელოებით", რომელშიაც ბევრი გაუგებრობა და შეცდომა შეპარვია. ნიშანში ამოუღია ჩემი მაღაზია „ცოდნა" და ადარებს ყველაფრით უზრუნველ ყოფილს უზარმაზარ წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიას, რომელიც ასი ათასობით იწერს წიგნებს, მოდის გამომცემლების ხარჯით საკომისიოდ, სცვლის თავის აუარებელ წიგნებში და გასაკვირალი არ არის რომ ამისთანა მდიდარს და ყოველის მხრით სიყვარულითა და სანდომიანობით (სიმპატიით) მოსილს საზოგადოებას გაცილებით იაფათ უჯდებოდეს ყველაფერი ვინემ ხელმოკლე ღარიბ წვრილ მოვაჭრეებს. ბრძანებს: წერა-კითხ. საზოგადოებაში უფრო იაფათ იყიდება წიგნები, ვინემ მერკვილაძესთანაო და ადარებს: „ჯანელიძის ფიზიკა ნ. I ფასი აწერია ზედ 10 მან. საზოგადოება ჰყიდის 10 მ., მერკვილაძესთან 20 მანეთია. ცაგარეიშვილის გეოგრაფია: აზია, აფრიკა, ამერიკა, ფასი 4 მ., წერ. კით. საზოგადოება ჰყიდის 4—15, მერკვილაძესთან კი 20 მ." და სხვადასხვა.

ნადირაშვილის მიერ ჩამოთვლილ წიგნებს ჩვენც იმ ძველ ფასებში ვყიდდით და ცაგარეიშვილის გეოგრაფიას უფრო იაფათ, 4 მ. დღეს ფასები მოხსენებულ წიგნებზე და სხვებზედაც გამომცემელმა მოუმატა ქუთაისში და ჩვენ სწორედ ამ მომატებულ ფასებში გვაქვს ნასყიდი.

თუ მართლა, წერა-კითხვის საზოგადოება ჯერ კიდევ ისევ ძველ ფასებში ჰყიდის, ალბათ ან საკომისიოდ აქვს მოსული, ან ბევრი ჰქონია ადრევე გამოწერილი, სწორედ მანამ, სანამ ქუთაისში ფასებს მოუმატებდნენ. სხვანაირად ამის ახსნა არ შეიძლება. ვინაიდან ჩვენ ენკენისთვის 1 რიცხვებში წიგნებიცა გვაქვს ახლად მიღებული და ფასებიც ყველა იქ გამოცემულს სახელმძღვანელოებზე—ჩვენ არა გვაქვს შეძლება რომ ბევრი გამოვიწეროთ. ცოტ-ცოტას ვიწერთ ჩქარ ჩქარაც გვილევა.

იქვე ქუთაისში გამომცემლობა „განათლება"-ში (გამომცემლებთან) ცაგარეიშვილის გეოგრაფია „აზია, აფრიკა, ამერიკა" ღირს 17 მან. 50 კაპ., ჯანელიძის ფიზიკა (10 მ.) 20 მან. და სხვა, მაშასადამე, ჩვენ დიდი სურვილიც, რომ გვქონდეს, იაფად ვეღარ გავყიდით.

როგორც ზევით მოგახსენეთ: ალბათ ძველათ გამოწერილი აქვს წერა კითხვის საზოგადოებას და დარჩენილი, თორემ ახლად რომ გამოიწეროს, დარწმუნდით, ჩვენზე იაფათ ვეღარ გაჰყიდის. თუმცა ყველაფერი ხელს უწყობს და დიდი დახმარება-შემწეობაცა აქვს წერა კითხ. საზოგად., როგორც თავისუფალ საქართველოს მთავრობისაგან, ისე ყოველი შეგნებული და შეძლებულ ქართველებისაგან, როგორც სიცოცხლეში, ისე მათი გარდაცვალების შემდეგაც: დიდი თანხებით, ძვირფასი აღურაცხელი წიგნებით და სახელმძღვანელოებით და სხვადასხვა.

თუ იმას ვიტყვით: ჯანელიძის ფიზიკას (ან სხვას) ფასი რათ აწერია 10 მ. და 20 მან. რათ იყიდება—აქაც არ იქნება სიმართლე, მიტომ რომ თვით წერა კითხ. საზოგ. შარშანდელს გამოცემულს დედა-ენას, რომელიც იყიდებოდა 8 მან. 50 კ. წელს 20 მანეთი მოუმატა და იყიდება 28 მან. (ძველი გამოცემა). ასეთი ფასის მომატება ძველ გამოცემებზე ალბათ იმითია გამოწვეული, რომ ახალი გამოცემა ძვირად უჯდებათ და უფრო სწორი იქნება ის, რომ ვსთქვათ —ბაზარზე ფულის ფასი თანდათან ეცემა შეუჩერებლად. დღეს მანეთს რომ ვეძახით, ის ერთ კაპეიკად აღარ ფასობს.

მიუხედავათ ყველა ამისა, უნდა გულახდილათ აღვიაროთ, რომ დღევანდელს პირობებში წიგნებში იმდენათ ჩაბად ასაღები არ არის, ვინაიდან დღევანდელს ღირებულებაზე, ყოველიფერ ნივთეულობაზე წიგნები უფრო გაცილებით იაფია.

დანარჩენზე ლაპარაკი აღარ ღირს, ბ. გოგია ნადირაშვილმა საქმის ვითარება არ იცის და „არ ცოდნა—არ ცოდვააო", ნათქვამია.

სოხიკო მერკვილაძე.

ამხ. რედაქტორო! სიმართლის აღსადგენათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ წერილს.

„სახალხო გაზეთის" № 645-ში ბ-ნ „წ—იმა" ყოვლად უსამართლო წერილი მოათავსა ლანჩხუთის ქალაქის აფთიაქზე. რომ ბ. „წ—ის" პირადი ჩემი ინტერესი არ აწუხებდეს, არც ასე მოიქცეოდა. გასულ წელში ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობა იჯარით სცემდა თავის აფთიაქს. სხვა მთხოვნელებთა შორის მეც გახლდით. ქალაქმა იჯარით აფთიაქი მე გადმომცა სამი წლის ვადით. გადმოცემა მოხდა საბჭოს დადგენილების თანახმათ, იმ პირობების მიხედვით, რომელიც ჰქონდა საბჭოს შემუშავებული ერთი მუხლის შეცვლით. მე ვაწარმოებ აფთიაქს და ქალაქს ვაძლევ იმ საიჯარო თანხას, რომელიც იყო მათგან დადგენილი და შეტანილი მაქვს „ზალოგის" ფული მათივე მოთხოვნილებისამებრ. ბ-ნ „წ—ი" ამბობს: „რამდენი ხანი ვცხოვრობთ ლანჩხუთში და ვერ გავიგე ვისია აფთიაქიო და სხვა". ბ. „წ—ი", ეს ძალიან ადვილი გასაგებია: „აფთიაქი ეკუთვნის ქალაქის თვითმართველობას, მხოლოდ ვადამდის წარმოება ეკუთვნის მოიჯარადრეს. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და თქვენც ალბათ გეცოდინებათ, მაგრამ თქვენ გაინტერესებთ სულ სხვა რამე. თქვენ ალბათ ბრძანდებით კერძო აფთიაქის ვექილი და მისი ზეგავლენით სწერთ წერილს. ბ-ნი „წ—ი" განაგრძობს. „ქალაქს გადაუცია აფთიაქი მოიჯარადრისთვის მაგრამ, მას ქალაქი პირობებში გამოუჭერია და აფთიაქის პატრონი გამხდარა და სხვა". არ მესმის რა პატრონზედ ლაპარაკობთ? იჯარის გათავებამდე დიახ ჩვენ ვართ აფთიაქის პატრონი, რადგან ის ჩვენ გვაბარია, ხოლო ვადის გათავებისათანავე ვალდებული ვარ ჩავაბარო ქალაქს იმავე სახით, რა სახითაც მე მივიღე, თანახმათ პირობისა. რომ ეს ასე არის, ამას მოწმობს ის პირობა, რომელიც ჩვენი ხელმოწერილი თვითმართველობაში ინახება და რომ თქვენ ეს გაინტერესებდეთ, შეგეძლოთ გაცნობოდით საქმეს თვითმართველობაშივე და თუ ეს ასეა, გეკითხებით: ვისი ყოფილა აფთიაქი? შემდეგ ბ-ნი „წ—ი" კითხულობს „დაარღვია თუ არა პირობები მოიჯარადრემ და სხვა..." ამაზე დაე, თუ ვინმეს აინტერესებს თქვენი შეკითხვა, მათ გიპასუხონ. ხოლო მე ჩემის აზრით მოგახსენებთ, რომ ჩვენ არავითარი პირობები არ დაგვირღვევია. პირიქით, თვით ქალაქმა ვერ შესძლო დაეცვა პირობები: მაგ. ვერ შეიძინა ის აუცილებელი ნივთები აფთიაქისთვის, რომელიც მათი სავალდებულო იყო, მაგრამ ჩვენ არავინ არ შეგვიწუხებია, პირიქით, ბევრი რამე, მაგ. შკაფები და სხვა ასეთები (აფთიაქი ახალი გახსნილია) მე შევიძინე ჩემისთანხით, რაშიაც, რათქმა უნდა, შემდეგ მივიღე კმაყოფილება. თქვენ რომ სიმართლე გაინტერესებდეთ, გაიგებდით, რომ მე გაცილებით ნაკლებ ფასებში უშვებ წამლებს ვინემ კერძო აფთიაქი. არას დროს არ დამიშვია სიყალბე და ბევრჯერ დამიჭერია სიყალბეში თვით თქვენი მოწონებული კერძო აფთიაქი, რაზედაც ოქმებიც არის შედგენილი. რომ ეს ასეა, ამას თავის დროზე დავამტკიცებ კიდეც ბ-ნი „წ—ი" თქვენ ალბათ გაიგებდით, რომ იჯარის ვადა კიდევ დაგვრჩენია ორ წლამდის, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სრული თანხმობა განუცხადე ქალაქის გამგეობას დამებრუნებია მათთვის ნახევარი წლით აფთიაქის ამავე იჯარის გადახდით ნახევარში. (შემოსავალ გასავალი) თანახმათ მათი წინადადებისა, რის პირობების შემუშავებას ამ დღეებში დავასრულებთ. ბ. ქალაქის თავი შარაშენიძე დაადასტურებს იმას, რომ, როცა მან განმიცხადა სურვილი შემოსულიყვნენ ნახევარ აფთიაქის აღებმიცემობაში, მე უთხარი: „თუ სურვილი გაქვთ მთლად მიიღეთ აფთიაქი მეთქი", რაზედაც მან უარით მიპასუხა და მითხრა: „პრინციპი კერძო პირთან საქმის წარმოებისა საზოგადოთ შემოღებულია და ჩვენთვის სჯობს ასეთ პრინციპს დავადგეთო". აბა ერთი მითხარით, რაში ხედავთ ბ. „წ—ი" რომ ქალაქი გამოვიჭირე პირობებში?! თქვენ იქნებ იმაში ხედავთ გამოჭერას, რომ ქალაქს უფლება არა აქვს მოუმატოს იჯარის ფულს, ისე როგორც ფული ეცემა ბაზარზე?! ეს კი სხვა საქმეა. და რომ თქვენ სახალხო საქმე გაინტერესებდეთ უფრო, მიაქცევდით ყურადღებას იმ კერძო აფთიაქს, რომელზედაც თქვენ სდუმხართ და რომელიც არა ერთხელ და ორხელ დავიჭირეთ და შევუდგინეთ ოქმი.

აფ ურატაძე.

სენაკის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლებს: ვ. ფარულავალამხუას, ვ. ცომაიას, ნ. ანჯაფარიძეს, ვ. ღვამიჩავას და შ. გეგენავას.

გაზეთ „ერთობის" 223 ნომერში დაბეჭდილია თქვენი წერილი, სადაც მე მიწვევთ სამედიატორო სამართალში იმ წერილის მოთავსებისთვის, რომელიც ეხება თქვენსა და სენაკის უმაღლ. დაწყებითი სასწავლებლის გამგის მ. თათარიშვილის შორის არსებულ უთანხმოებას და აქედან გამომდინარე სასწავლებლის ანორმალურ ცხოვრებას.

თქვენს წინადადებას დიდის აღფრთოვანებით ვეგებები. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ: გიორგი მაღნარაძეს, ექიმ პეტრე ქავთარაძეს და გრ. კანკავას. სასამართლოს განაჩენი პრესაში უნდა იქნეს გამოცხადებული.

ნიავი.

ცნობები

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულ ქართველ ტყვეების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ეს მეოთხე წელიწადია, რაც უგზო-უკვლოთ დაიკარგა ჩემი უმცროსი ძმა კოწია ნიკოლოზის ძე ღოღობერიძე, რომელიც მსახურებდა მე-10 ფინლიანდიის პოლკში 4 როტაში. პირველი დაჭრით ტარნოპოლში დაშავდა და მერე ვერაფერი გავიგეთ მისი, თუ ვინმემ რამე იცის, უმორჩილესათ ვთხოვ შემატყობინოს, რისთვისაც ჯილდოთ მიიღებს 300 მანეთს. მისამართი: თფილისი, ქალაქთა კავშირის სტამბა ასოთ-ამწყობს ღოღობერიძეს.

ბ. პეტრე მელიას წერილის გამო

13 და 14 სექტემბერს, გაზეთ „საქართველო"-ში (იხ. №№ 198, 199) დაიბეჭდა ბ. პ. მელიას წერილი შემდეგი სათაურით—„რათ წამართვეს თავისუფლება". ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით თუ ბ. მელია გაზეთის ფურცლებზე გამოაფენდა იმ ბოროტმოქმედებას, რაც მან ჩაიდინა სასურსათო სამინისტროს წინაშე და რითაც მან რამდენიმე მილიონი მან. ზარალი მიაყენა ჩვენი რესპუბლიკის ხაზინას.

ბ. მელიას წერილი შეიძლება გავყოთ სამ ნაწილათ: პირველ ნაწილში ის ლაპარაკობს იმაზე, რომ სასურსათო საბჭოს სათავეში უნიჭო და საქმის უცოდინარე ხალხია, აკრიტიკებს იმ ოპერაციებს, რომლებიც ახალმა სასურსათო საბჭომ გააკეთა და ამტკიცებს, რომ ახალმა საბჭოს პრეზიდიუმმა ხაზინას რამდენიმე მილიონი მან. ზარალი მიაყენა. ასახელებს ოპერაციების რამდენიმე მაგალითსაც. თუ რამდენათ შესტკივა გული ჩვენი ხაზინის ინტერესებისათვის ბ. მელიას, ამას ჩვენ ქვეით დავინახავთ, ახლა კი უნდა მოგახსენოთ, რომ ეს კრიტიკა მას დასჭირდა იმიტომ, რომ ახალ სასურსათო საბჭოს სახელი გაუტეხოს და ამნაირად საკუთარი საქმე გამოაკეთოს. ეს, ასე ვთქვათ ერთგვარი სპეკულიანტური ფანდია. რაც შეეხება ჩვენგან ხაზინისადმი მიყენებულ ზარალს აღნიშნულ ოპერაციებში, ეს გამოჩნდება იმ ჩვენი ექვსი თვის მუშაობიდან, რომლის ოფიციალურ ანგარიშს ჩვენ ამ მოკლე ხანში წარუდგენთ მთავრობას. აქ საზოგადოების საყურადღებოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ საქონელს, რომელსაც ჩვენ ვიძენდით, მომხმარებელთ ვაწოდებდით 100 პროც. იაფათ შედარებით საბაზრო ფასებთან, იმ დროს, როდესაც შაბიამანი და გოგირდი ბაზარზე 1000—1200 მან. იყიდებოდა ფუთი, ჩვენ 400—500 მან. მივაწოდეთ მომხმარებელთ, იმ დროს, როდესაც სიმინდი ბაზარზე 140—150 მან. ღირდა ფუთი, ჩვენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებს 75—80 მან. ვაძლევდით; ასე იყო ზეთზე, ნავთზე, მარილზე და სხ. ამ გვარათ ჩვენმა ოპერაციებმა რამდენიმე მილიონი მან. დატოვა ხალხის ჯიბეში და ხაზინის კასაში და საშუალება არ მისცა სპეკულიანტებს სულ მთლათ გაეძარცვათ როგორც ხალხი, ისე ხაზინა.

მართალია, ჩვენ ამ ოპერაციებში ისეთი მოგება არ გვინახავს, როგორი მოგებაც ნახა ბ. მელიამ იმ 10,000 ფ. თეთრ ინგლისურ ქესტში, რომელიც მან სხვადასხვა მახინაციებით გაიტანა სამხედრო უწყების საწყობებიდან, მაგრამ წაგებაც არ გვინახავს. სასურსათო საბჭოს მოქმედების მიზანს სრულიადაც არ შეადგენს დიდი მოგება,—მისი მიზანია სპეკულიაციასთან ბრძოლა, სურსათის საბაზრო ფასებთან შედარებით უფრო იაფათ მიწოდება და ამ მხრივ თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სასურსათო საბჭომ, რამდენათაც დრო და გარემოება ხელს უწყობდა, პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა.

მეორე ნაწილი ბ. მელიას წერილისა შეეხება იმას, რომ როგორც ძველმა სასურსათო საბჭომ, ისე ახალმა ბ. მელიას ხვეწნა-მუდარას ყურადღება არ მიაქცია, მასთან (მელიასთან) ლაპარაკიც კი არ მოისურვა და ამგვარათ მას საშუალება არ მისცა აემუშავებინა თავისი კონსერვების ქარხანა. რაც შეეხება ძველ საბჭოსადმი საყვედურს—მე არაფერის თქმა არ შემიძლიან, ხოლო ახალი საბჭოსადმი საყვედური თავით ბოლომდე სიყალბე და სიცრუეა. სანამ შევუდგებოდე ბ. მელიას სიცრუის გარჩევას, მე მინდა მკითხველს გავაცნო თუ რაშია საქმე.

1918 წ. 24 აგვისტოს ბ. მელიამ დადო ხელშეკრულება სასურსათო სამინისტროსთან. ამ ხელშეკრულობის ძალით მელიას უნდა დაემზადებინა და ჩაებარებინა 6 თვის განმავლობაში 600,000 ცალი კარობკა ხორცის კონსერვი დღიდან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა; სამაგიეროთ სამინისტროს წინდაწინ უნდა მიეცა ბ. მელიასთვის სამხედრო უწყების საწყობებიდან 10,000 ფ. ინგლისური თეთრი ქესტი, 2,500 ფ. მარილი და 500 ფ. ლურსმანი. ქესტი მელიას უნდა მიეღო 16 მან. ფუთი, მარილი 5 მან. ფუთი და ლურსმანიც თავის საფასურში- ლურსმანი სამხედრო უწყების საწყობებში არ აღმოჩნდა. 600.000 ცალი კოლოფი კონსერვი შეფასებულია ხელშეკრულობაში 1 520.000 მან. ფუთი ქესტი იმ დროს ბაზარზე იყიდებოდა 300 მან. ამგვარათ 10000 ფ. ქესტის ღირებულობა შეადგენს 3 მილიონ მან. 1 ფუთი მარილი ბაზარზე იყიდებოდა 40 მან. 2500 ფ. ღირებულობა შეადგენდა 100000 მან. ამნაირათ ბ. მელიას აღნიშნულ ხელშეკრულობის ძალით ავანსათ ეძლეოდა 3.100.000 მან. ღირებული საქონელი.ბ. მელიამ სამი მილიონ ასი ათას მან. ღირებულ საქონელში ხელშეკრულების ძალითვე გადაიხადა ფუთი ქესტზე 16 მანეთი (16×10000=16000 მან.) და „მკვდარი ჩეკი" 54.000 მან. საწინდრის სახით. სულ ეს 3.100.000 მან. ოპერაცია მას დაუჯდა 204.000 მან. აქედან როგორც მკითხველი ხედავს, ბ. მელიას უდავიდარაბოთ წმინდა მოგება რჩება 2 896 000 მან. ეს მოგება დაახლოვებით ორჯელ აღემატება იმ კონსერვების ღირებულებას (1.520,000 მან.), რომელიც მელიას უნდა დაემზადებინა სამინისტროსთვის (600.000 ცალი კოლოფი. ცხადია, რომ ბ. მელიას კონსერვების დამზადება არ აინტერესებდა,—მისი მიზანი იყო ამ 3.100 000 მან ღირებულ ქონების გატანა და რამენაირათ მისი შენარჩუნება, კონსერვების დამზადება ეს უბრალო საბაბი იყო და მასთან ფრიად საზარალო მისთვის. ბ. მელიასთვის საჭირო იყო მომხდარიყო ხელშეკრულების დარღვევა სამინისტროს მხრივ და აი ეს დარღვევაც მალე ხდება.

ბ. მელიას თავის დროზე არ აძლევენ მარილს, ლურსმანი კი სულ არ აღმოჩნდა საწყობებში და სხვა აქაც, ალბათ, იგივე საიდუმლო ხელი მუშაობდა, რომლის საშუალებითაც ბ. მელიამ 3.100.000 მან. ღირებული ქონების გატანა მოახერხა... თუ როგორ მოახერხა ბ. მელიამ ამოდენა ქონების მუქთათ ხელში ჩაგდება, ამის შესახებ უკეთესი იქნება ავალაპარაკოთ ბ. ვირსელაძე, რომელიც დანიშნული იყო მთავრობისაგან სახელმწიფო სასურსათო დაწესებულებაში რევიზიის მოსახდენათ. ის მთავრობისადმი ბ. მელიას საქმის შესახებ მოხსენებაში მოგვითხრობს შემდეგს:

„როდესაც რევიზია დაეკითხა ბ. მელიას, მან (მელიამ) განაცხადა, რომ ხორცის კონსერვების დამზადების იჯარით აღების დროს, ის აწარმოებდა წინასწარ მოლაპარაკებას სასურსათო სამინისტროში მოსამსახურე ზოგიერთა პირებთან. ამ მოლაპარაკებამ კარგა ხანს მიზანს ვერ მიაღწია. ამასთან ერთად ის დარწმუნდა, რომ ის პირები, ვისზეც დამოკიდებული იყო ამ საკითხის გადაწყვეტა განგებ აჭიანურებდენ საქმეს, რომ ამით იძულებული გაეხადათ ბ. მელია მიეცა მათთვის რაიმე ჯილდო, გასამრჯელო. და ბოლოს მისმა ნაცნობმა გიორგი დავითისძე ზაუტაშვილმა პირდაპირ განუცხადა ბ. მელიას, რომ საქმის დასაჩქარებლათ საჭიროა ზოგიერთ პირებს მიეცეთ გასამრჯელო 150.000 მან., რომ უამისოთ ამ საქმის ბოლომდი მიყვანა არ შეიძლება ეს ჯამი ბ. მელიას ძალიან დიდათ ეჩვენა; მან დაუწყო ვაჭრობა ბ. ზაუტაშვილს და ბოლოს ისინი შეთანხმდენ 105.000 მან. ვისთვის უნდა მიეცა ეს ფული ბ. მელიას, ზაუტაშვილმა არ უთხრა, მაგრამ მელიამ იცოდა, რომ ამ საქმის აღება მაშინ დამოკიდებული იყო ხორცეულობის დამზადების რწმუნებულ ასათიანზე. მიუხედავად ამისა ასათიანთან მელიას პირდაპირ მოლაპარაკება არ ჰქონია. მელია რამდენჯერმე შეეცადა ენახა პირადათ ასათიანი, მაგრამ იმ პირებმა, ვინც ასათიანთან დაახლოვებული იყვნენ არ დაუშვეს ის და მიზეზათ სხვადასხვა გარემოებებს ასახელებდენ. მელიამ ისესხა თავის ნაცნობ ოსეპიანისახან 88.000 მან., მიუტანა სასტუმრო „გრანდ-ოტელში", აქ მეორე სართულში მოთავსებული იყო კანცელარია სამინისტროს რწმუნებულის ასათიანისა. ქვემო სართულში მელიას შეხვდა ზემოდ ნაჩვენები ზაუტაშვილი და ვინმე იოსებ ერისთავი. მათთან მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა, რომ ფული უნდა გადაეცეს ასათიანს. ერისთავს გადასცა მელიამ75.000 მან. ეს უკანასკნელი და ზაუტაშვილი ავიდენ ზემო სართულში და იმავე საათში ჩამოიტანეს ხელმოწერილი კონტრაქტი, რომელიც გადასცეს მელიას. შემდეგ ამისა მელიამ კიდევ გადასცა იმავე პირებს სხვადასხვა დროს იმავე საქმისთვის 10.000 მან. მართალია მელიამ განაცხადა,რომ ის ამ ჩვენების ოქმს ხელს ვერ მოაწერს, რადგან ეშინიან დამნაშავეთაგან შურის ძიებისა, მაგრამ, ცხადია, ეს მისი განცხადება საქმის ვითარებას არ ცვლის". ასეთ ჩვენებას აძლევს ბ. მელია მთავრობის ოფიციალურ რევიზიას. ასეთია ფაქტიური მხარე საქმისა. ბ. მელია თავის გრძელ „იერემიადაში" ამის შესახებ არაფერს ამბობს. ის სიტყვას ბანზე აგდებს და ჩვეულებრივათ ცდილობს მკითხველს თვალები აუხვიოს და თავის თავი მამა აბრამის უმანკო ბატკნათ მოაჩვენოს.

ვ. ცაბაძე

(დასასრული იქნება).

განცხადებანი

27 სექტემბერს ხესტაფონის სადგურზე

დაიკარგა 9 წლის ბავშვი

კალისტინა მელიტონის ასული ღარიბაიძე. თუ ვინმემ იცით რამე ამის შესახებ, ვსთხოვთ შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით: ხესტაფონი ანნა იაკობაშვილისას. 2651—1—1)

ექიმი **დ. გ. ჯავახიშვილი.**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

სასწრაფოთ იყიდება

მშვენიერი „კოტიკის" მანტო, კრუძევის შარფები, მარგალიტის „პიტკო", სასტუმრო ევროპა (გოლოვინის პრ.) ოთახი № 5, ნახვა ნაშუადღევს 2—6 საათამდე 2638—2—2)

ექიმი **ა. ლევენზონი**

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის,ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—6 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი **ნ. ჩ. ფხრიაშვილი**

იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და ბავშვთა სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი **ზახარიას პაპავა**

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყური და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

დოქტორი **ი. ი. ზამზურიძე.**

სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტირიზე, ტიზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონხე.

ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

ექიმი **მ. ჩიჯავაძის** ბაქტერიოლოგი
რი, სერო დიაგნოსტიური და ქიმიუ
მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს [illegible] სისხლის Wasse
mann-ის, Weinberg-ის, Widar-ის რე
აქციებს, [illegible] კლინიკური და ბაქ
ტერიოლოგიური გამოკვლევა, [illegible]
Opermeyer-ის სპიროშეტები და სხ
შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლ
რწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სი
ხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადე
აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ო
ლას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მ
საღა მიიღება დილის 9—1 საათამ
და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **ა. ი. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავა
მყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირ
ს. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პი
დაპირ. ტელ. 10-46.

დოქტორი **[illegible]**
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხ
რის სნეულებიან ავათმყოფთა მიღ
დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საა
გერმანელთა სამხედრო საავათმყოფო
ნაბერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეებ
გარდა (2603—2—

ექიმი **მ. ა. ზაზრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი
ლებები (შეშხაპუნება „606" და „914
ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ო
განოების სნეულებანი. ავადმყოფებ
მიღება ყოველ დღე დილის 8—11
საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით
მხოლოდ დილით მისამართი: ოლღ
ქუჩა № 33

კბილის ექიმი
მ. მ. ზიბაური-ესაკიასა
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფ
ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამ
4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქ
№ 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლ
ბლად.

ექიმი **დ. ა. ხარაძიძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულები
ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდ
ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალ
მულიტორიის ახლო.

დოქტორი **[illegible]**
თვალის ავათმყოფობანი .ამორჩევა ს
თვალლებისა. მიღება 8—12 საათამდე
საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი ქალი **რ. ბ. [illegible]**
მედიცინის დოქტორი ქენევის უნივე
სიტეტისა და ელინბურგის მედიკურ ქ
რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოვე
დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავა
მყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებ
ხიფილისის წამლობა (606—914) დილ
10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხ
ნოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—2

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფ
საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლე
ხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელე
ფონი 11—06.

ექიმი **ა. დ. ძაძამია**
სიფილისი და ვენერიული სნე
ლებანი. შეშხაპუნება „606" და „914
მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—
ხ. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ"-
პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი **დ. მ. ჯაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და
ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დი
ლის 12—1ნახ. საათ. საღამოს 5—
საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა
7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტე
ლეფონი 16—65.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის დრამატიულ სტუდიის სამხატვრო საბჭო

ამით აცხადებს, რომ სტუდიაში დაიწყო თანამშრომელთა ჩაწერა. მსურველ შეუძლიან ჩაეწერონ სტუდიის კანტორაში დილის 10—12 ს. საღამოთი 6—7 საათამდე. ფრეილინის ქუჩა № 11. ქალნი არა ნაკლებ 17 წლისა, ვაჟნი არა ნაკლებ 19 წლისა. ყველასათვის საჭიროა საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა; გამოცდის შემდეგ მოწაფენი ისწავლიან უფასოდ: მიმიკას, დიკციას, ფარიკაობას, პლასტიკას, გრიმს. ხმის დაყენებას და სხვ. (ნ. —1—1)

ქართული ლატარია

უნივერსიტეტი და თეატრი—ერის კულტურული განძია.

დაეხმარეთ ქართულ ლატარიას თავის მიზნის მიხწევაში.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები. (ნ.—1—1)

სახელმწიფო თეატრი

(ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით)

შაბათს 11 ოქტომბერს, ვოლ-ლევიცკაიას, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილ

ევგენი ონეგინი

კვირას, 12 ოქტომბერს „რიგოლეტო". (ნ.—1—1)

4 წიფობისთვეს ღამის 10 საათზე ქ. ერევანში ბულვარის ახლობლათ. როდესაც ბინაგე ვბრუნდებოდი წინ დამიხდნენ ოთხი შეიარაღებული კაცი და გამიცხადეს მილიციის უფროსთან უნდა წამობრძანდეო. როცა ქალაქს გამაშორეს, ერთბაშათ თავს დამესხნენ ოთხივე და სიკვდილის მუქარით წამართვეს საფულე, რომელშიაც იყო 16000 მანეთი ფულათ, 20000 ძ. ბარათი აშოტ სერგოს ძე ხუდადოვისაგან, რომელიც მქონდა საქონლის ბეთ მიცემული ბ-ნ ხუდადოვზე, რევოლვერის ტარების ნებართვა სამხ. სამინ. მიერ № 14263, ხუთას მანეთიანი პაიოზურგეთ ნატანებ შორის რკ. გზის გაყვანის შესახებ და წლიური ბილეთი მოცემული ოზურგეთის თვითმართველობის მიერ. ვსთხოვ ყველა საზოგადო და კერძო დაწესებულებებს აგრეთვე პატივცემულ მოქალაქენს, თუ ვინმე შეხვდეთ რომელიმე ზემოხსენებულ ქაღალდებს მაცნობოთ ოზურგეთში—ან ფოთში ლევაშოვის ქუჩა დიმიტრი პავლეს ძე ანთელიძეს. (2650—1—1)

სხდომები ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა კრებისა

მუშათა კლუბის საზამთრო ბინაზე, (ყოფილი ბინა რუსთა კლუბისა) პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტი—№ 123.

გამგეობა. (2633—3—3)

მსწრაფლ მბეჭდავი [illegible], გაბაევისშესახვევი № 1